# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №177 (2550) შაბათი, 26 ივლისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ - 45 თეთრი.


## პოლიტიკური სტაბილურობა ჩვენი საზოგადოების ტრანსფორმირების უპირველესი პირობა, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საშუალება და დემოკრატიული ცხოვრების ნორმაა; სხვაგვარად ვერ ავაშენებთ ჭეშმარიტად თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანას

მთავრობის გაფართოებულ სხდომებზე კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის გამიზნული მუშაობის შედეგების განხილვა ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

რა ძირითადი დასკვნების გამოტანა შეიძლება დღეს გამართული საქმიანი საუბრიდან, რასაც ბევრად შეუწყო ხელი ბატონების ჯამლეთ ბაბილაშვილის, კახა თარგამაძის, თედო ნინიძის, ჯემალ გახოკიძის, ზურაბ მეფარიშვილის საინტერესო ინფორმაციებმა, კამათის მონაწილეთა საყურადღებო გამოსვლებმა. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იმ პარლამენტარების მიმართ, რომლებმაც ჩვენი დღევანდელი შეკრება საინტერესო და ორიგინალური წინადადებებით გაამდიდრეს.

უწინარეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ განუხრელად სრულდება პრეზიდენტის საპროგრამო გამოსვლაში ამ კუთხით ჩამოყალიბებული ამოცანები. მხედველობაში მაქვს წესრიგის დამყარება ქვეყანაში.

მე ხალხს შევპირდი, რომ სახელმწიფოში თანდათან დამყარდებოდა წესრიგი და კანონიერება. დღეს, ალბათ, გადაუჭარბებლად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მიმართული გეგმაზომიერი მუშაობის შედეგები შეიძლება არასაკმარისი, მაგრამ უდავოდ თვალსაჩინოა და, რაც მთავარია, ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი შეიძინა. დღევანდელი ჩვენი დისკუსიის ხასიათი და არსი ჩვენი მსჯელობისა მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ეს პროცესები შეუქცევადია.

მიმდინარე წლის I ნახევარში გაუმჯობესდა მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის მაჩვენებლები, შემცირდა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებების, განზრახ მკვლელობათა რიცხვი. შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კლების ტენდენცია. ამასთანავე, ამაღლდა გამოძიების ხარისხი, მძიმე კატეგორიის დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელმა 80 პროცენტს გადააჭარბა.

იხ. გვ. - 2-3 გვ.



## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

### ჟენევა: მოსალოდნელია მოწესრიგების საკვანძო სფეროების განმსაზღვრელი შემაჯამებელი დოკუმენტის მიღება

ჟენევა. 25 ივლისი. (იტარ-ტასს-საქინფორმი).

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და რუსეთის ხელშეწყობით ჟენევაში მიმდინარე ქართულ-აფხაზური შეხვედრის მესამე, ბოლო დღეა. დელეგაციებმა დაძლიეს მწვავე კრიზისი, რომელიც ხუთშაბათს შეიქმნა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის მხარემ დატოვა პლენარული სხდომა, და ამ დილით კვლავ შეიკრიბნენ, რათა განაგრძონ დისკუსია. საქმე ეხება, ძირითადად, ჰუმანიტარულ პრობლემებს, მათ შორის, აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებას. როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტმა შეიტყო, პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობამ ძირითადად სამუშაო ჯგუფებში გადაინაცვლა. დღის ბოლოს მოსალოდნელია შემაჯამებელი დოკუმენტის მიღება, რომელიც განსაზღვრავს მოწესრიგების საკვანძო სფეროებსა და შემდგომ ღონისძიებებს.

რუსეთელმა შუამავლებმა — საგანგებო დავალებათა ელჩებმა ლევ მირონოვმა და გენადი ილიჩოვმა ხუთშაბათს მონაწილეთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფელთა ყოფნის პრობლემა. სამშვიდობო ოპერაციას, რომელსაც ახლა რუსეთის კონტინგენტის ძალები ახორციელებენ, ვადა გაუდის 31 ივლისს, მაგრამ საქართველოს ჯერ არ მოუმართავს მანდატის განგრძობის შესახებ. „გვინდა, რომ შემაჯამებელ დოკუმენტში აისახოს რუსეთის მოწოდება მხარეებისადმი სამშვიდობო ოპერაციის განგრძობის თაობაზე", — თქვა ლევ მირონოვმა იტარ-ტასის კორესპონდენტთან საუბრისას. რუსეთელმა შუამავალმა მოლაპარაკებაზე განაცხადა, რომ მშვიდობისმყოფელთ გაიყვანენ, თუ თბილისიდან არ იქნება მომართვა. მაგრამ მოსკოვის აზრით, აფხაზეთში ახლანდელ პირობებში მშვიდობის შენარჩუნება და უშიშროების უზრუნველყოფა „შეუძლებელია სამშვიდობო ძალების გამოუყენებლად" და „ყველა შესაძლო შედეგისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმათ, ვინც საქმე ვითარების გამწვავებამდე მიიყვანა".

ხუთშაბათს კონსულტაციებმა გვიან ღამემდე გასტანა. სოხუმის დელეგაცია მზად იყო შეეწყვიტა შეხვედრაში მონაწილეობა. დღისით მან დატოვა პლენარული სხდომა, რადგან მასზე სიტყვა მისცეს საფრანგეთის ელჩს, „საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მეგობრების" ჯგუფის კოორდინატორს ბერნარ ფასიეს. აფხაზეთის მხარე კატეგორიულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ეს ჯგუფი ჩაებას მოლაპარაკებაში, რადგან ეს მიაჩნია მთელი მოლაპარაკების პროცესის ფორმატის შეცვლის მცდელობად, რომელშიც აქამდე კონფლიქტში ჩაბმული ორი მხარის გარდა, მონაწილეობდნენ მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რუსეთი და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

„გენერალური მდივნის მეგობართა" ჯგუფში, რუსეთის გარდა შედიან დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. აფხაზეთის დელეგაციის წევრები, თუმცა მოლაპარაკებაში რუსეთის მონაწილეობის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ, არ ენდობიან დასავლეთის ქვეყნებს, საყვედურობენ რა მათ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის არაობიექტურ შეფასებას საქართველოს სასარგებლოდ. გარდა ამისა, მოლაპარაკების ახალი მონაწილეების გაჩენა, მათი აზრით, გაართულებს დისკუსიის მიმდინარეობას. ამავე დროს სოხუმის წარმომადგენლები თანახმა არიან კონტაქტები იქონიონ დასავლეთის ოთხი ქვეყნის დიპლომატებთან ორმხრივ საფუძველზე მოლაპარაკების პროცესის ფარგლებს გარეთ. შეხვედრაზე წამოჭრილი კრიზისის გადაწყვეტა მოხერხდა რუსეთელი შუამავლებისა და გაეროს წარმომადგენლის ლივიუ ბოტას დიპლომატიური სიმარჯვის მეოხებით.

### აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს ...სტაბილურად და დინამიურად

25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა მთავრობის გაფართოებული სხდომა. განიხილეს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და 1997 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგები, აგრეთვე უახლოესი ამოცანები. სხდომაზე მოწვეული იყვნენ პარლამენტის წევრები, ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურები, მათი მოადგილეები ეკონომიკური საკითხების დარგში, მხარეების, ქალაქებისა და რაიონების საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების, მსხვილი სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სტრუქტურათა ხელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

*დაწვრილებით — შემდეგ ნომერში.*

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

### იმ პირთა შეწყალების შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა

იხ. გვ. - 4 გვ.

### ექსკლუზიური ინტერვიუ

## საქართველოში არ არის არც ერთი სიკვდილმისჯილი

განცხადებამ, რომელიც 24 ივლისს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა, ქუხილივით გადაუარა მთელ საქართველოს.

ამ ქუხილის ექო, ალბათ, კარგა ხანს არ მიწყდება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი, და, ამავე დროს, უპრეცედენტო გადაწყვეტილება — შეიწყალა 54 სიკვდილით მსჯავრდებული და მათ სასჯელი შეუცვალა ოცი წლით თავისუფლების აღკვეთით.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში რუსუდან ბერიძეს.

იხ. გვ. - 4 გვ.

## ინფორმაცია

### „ბოინგი" დროს არ კარგავს

25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კორპორაცია „ბოინგის" დელეგაცია, რომელიც ამერიკაში ვიზიტის დროს შეხვდა მას და უახლოეს დღეებში თანამშრომლობის შესახებ კომერციული წინადადებების წარმოდგენა აღუთქვა.

„ბოინგის" საერთაშორისო სავაჭრო განყოფილების დირექტორმა კრეიგ ჯონსმა და საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საჰაერო დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ ჭანკოტაძემ საქართველოს პრეზიდენტს გააცნეს ამჯერად უკვე თბილისში გამართული შეხვედრის შედეგები. ქართველ და ამერიკელ კოლეგებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს საქართველოს მიერ სამი წლის ვადით „ბოინგისგან" ორი თვითმფრინავის ლიზინგით აღებაზე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ქართული მხარე თვითმფრინავებს შეისყიდის.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს ოპერატიული გამოხმაურებისათვის და გაიზიარა მოსაზრება საკითხის სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტის შესახებ.

გუშინვე კორპორაცია „ბოინგის" დელეგაცია მიიღო საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

### მამები და შვილები

„ზოგიერთი პოლიტიკური განცხადება იმის თაობაზე, რომ დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა აფხაზეთში ომით დაბრუნების მომხრეა, საფუძველს არის მოკლებული", — განაცხადა 25 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის რესურსების განვითარების" ფონდის თავმჯდომარემ ნოდარ სარჯველაძემ. მისივე თქმით, ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, საბრძოლო მოქმედებების განახლებას მხოლოდ 25 წლამდე ასაკის დევნილები უჭერენ მხარს, უფროსი თაობა კი კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოწესრიგების მომხრეა.

### ზუგდიდში 2 თვის შემოსავლის გაცემა მიმდინარეობს

„იბერიის" სარწმუნო წყაროს დადასტურებით, ... ფლანგვის ცნობილ ფაქტს ჰქონდა ადგილი 412 ათასი ლარის ოდენობით. კონტროლის პალატამ თავისი შემოწმების ანგარიში საქართველოს პროკურატურას გაუგზავნა, რასთან დაკავშირებითაც უწყება გამოძიებას აწარმოებს.

### „ბოევიკები" - პოლიციის დამატებითი რაზმები

ამჟამად გალის რაიონში აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, შეჰყავთ პოლიციის დამატებითი რაზმები. იმ პოლიციელთა ნაცვლად, რომლებიც აქამდე გალის რაიონში იყვნენ განლაგებულნი, შედიან პოლიციელებად გადაცმული ის „ბოევიკები", რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო კონფლიქტში აფხაზეთის ტერიტორიაზე. მოსალოდნელია, მათმა რაოდენობამ რამდენიმე ასეულს მიაღწიოს. ამას გვატყობინებს „იბერია".

### მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი დასავლეთის მარშრუტს უჭერს მხარს

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს პრეზიდენტის აპარატიდან აცნობეს, რომ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯეიმს ვულფენსონმა გამოთქვა სურვილი, დააფინანსოს კასპიის ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტირების მარშრუტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. ჯეიმს ვულფენსონის თქმით, ეს არის ძალზედ პერსპექტიული პროექტი, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანასაც დიდ მოგებას მოუტანს. ვინაიდან 21-ე საუკუნეში კასპიის ნავთობი დაახლოებით ისეთივე როლს შეასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში, როგორსაც დღეს ასრულებს სპარსეთის ყურის ნავთობი.

### ჭიათურა კრიზისიდან გამოვიდა

თითქმის ყოველთვის საბიუჯეტო პროგრამა ჭიათურაში არ სრულდებოდა. წლეულს ეს „ტრადიცია" დაირღვა, 6 თვეში ბიუჯეტის შემოსავლებმა 809 ათასი ლარი შეადგინა (დავალება 101,7 პროცენტით შესრულდა). რეზერვები არის. თუ შემოსავლების გასაზრდელად ყველა ბერკეტი ამოქმედდება, ბიუჯეტსაც ეშველება და ხალხსაც.

### მესამედი ჩრდილოვან ეკონომიკაშია შექმნილი

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესი, რაც გამოიხატა წარმოებისა და მომსახურების ყველა დარგის საწარმოთა აქტიურობის ზრდით, ამტკიცებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მოცულობამ აღნიშნულ პერიოდში ფულადი გამოხატულებით 4,3 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 18 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს. ერთობლივი შინაგანი პროდუქტის ზრდამ დაახლოებით 15 პროცენტი შეადგინა და მოქმედი ფასებით 2,2 მილიარდ ლარს უტოლდება.

დეპარტამენტის შეფასებით, ეროვნული ეკონომიკის ერთობლივი შინაგანი პროდუქტის მესამედი შექმნილია მის ჩრდილოვან სფეროში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, „იბერიამ", ჩვენმა კორესპონდენტებმა.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 15 ივლისი — ქ. თბილისი

**ლ. ავალიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის ა. მიზანდარის სახელობის პირველი სამუსიკო სკოლის პედაგოგი ლია ავალიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 15 ივლისი — ქ. თბილისი

**ჯ. ქაჯაიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ჯიმშერ ქაჯაია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## შევეწიოთ

### აშენებს სრულიად საქართველო



სრულიად საქართველო, მშენებლობის ფონდი გულწრფელ მადლობას უხდის მათ, ვინც ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ.

ხოლო მათ, ვისაც სურვილი და საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ სამშვიდობო საქმეში, ვაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს.

საქართველოს ბანკი

ეროვნული ვალუტის ანგარიშები № 003700076, მფო 521017.

საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 501070635.

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში.

ბანკის მისამართი: პუშკინის ქუჩა № 3

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 99-54-51, 99-06-43, 99-63-03, 99-70-14, 93-31-69, 99-80-26, 99-81-91.

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| საქართველოს ბანკი" თერჯოლის ფილიალი | – 10 ლარი |
| შპს „ელსავაკო" | – 500 ლარი |
| შპს „ქაჩი" | – 290 ლარი |
| ოჯახი, რომელმაც არ ისურვა გვარის გამოცხადება | – 520 ლარი |
| ზ. გორდელაძე | – 100 ლარი. |

## რეპლიკა

### მცირე განმარტება კოლეგას

ამ, არცთუ სასიამოვნო განმარტების საბაბი მოგვცა გაზეთ „დრონში" (19-22.VII. 97 წ.) გამოქვეყნებულმა ჟურნალისტ თამარ კინწურაშვილის წერილმა „მოქალაქეებმა ბაზრობაზე ეროვნულ-დემოკრატები „იპოვეს". საუბარია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თერგზე", სადაც, თურმე, „ბაზრობის ადმინისტრაციასთან შეხვედრისას მოქალაქეებმა საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს". აღმოჩენა კი (თუ ეს მართლაც აღმოჩენად ჩაითვლება) ის გახლავთ, რომ „როცა „თერგის" მიერ დასპონსორებულ ორგანიზაციათა ნუსხას გაეცნენ"... ...შემწეობის მიმღებთა რიცხვში ნახეს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა" და „საქართველოს მოამბე".

ვერ გეტყვით, თერგელებმა ვინ რა თანხით „დაასპონსორეს" (მსურველებს შეუძლიათ „დასპონსორებულთა" სიებს ბაზრობის დირექციაში გაეცნონ), მაგრამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" რა „შემწეობა" გაუწიეს, ამაზე თვით ფაქტი „მოგახსენებთ": ბაზრობის ბუღალტერიაში ინახება ფულის გადარიცხვის დოკუმენტი (ანგარიშის № 100467998, კომერციული ბანკი „კრედიტი", მფო 522564, შპს „პრესა" — გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"), სადაც შავით თეთრზე წერია, რომ 1996 წლის 8 აპრილს დასახელებულ რედაქციას 500 ლარი ჩაერიცხა 50 ცალი გაზეთის გამოწერის საფასურად. ეგ კი არა, როგორც ირკვევა, თურმე, „თერგს" შპს „პრესისა" 23 ლარიც კი მართებს (რედაქციას ამ თანხის ზედმეტი გაზეთები გაუგზავნია).

აი, თურმე, როგორ ესმის ზოგიერთ ჩვენს კოლეგას „დასპონსორება"! რა თქმა უნდა, უხერხულია (ძალიან უხერხული) ჟურნალისტს მეზობელი რედაქციიდან განუმარტო, რას ნიშნავს სპონსორობა, მაგრამ ამაზე უხერხული, ალბათ, ის არის, როცა კოლეგას კოლეგის ლანძღვა სიამოვნებს. სხვა რომ არაფერი, ეს ხომ თვითონ მას აყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

ოთარ ხუციშვილი.

## უკანასკნელ საათს

მოსკოვი. გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი გამოვიდა მორიგი რადიომიმართვით ერისადმი. მიმართვის ნახევარი დაეთმო „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების" ფედერალური კანონის უარყოფის მოტივირებას. როგორც ცნობილია, რომის პაპის საგანგებო წერილისა და აშშ სენატის იმ გადაწყვეტილების შემდეგ, რომ რუსეთს უარი ეთქვას 200 მილიონ დოლარ კრედიტზე აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, რუსეთის სახელმწიფოს მეთაური იძულებული გახდა უკან დაეხია და დაებრუნებინა კანონპროექტი დასახვეწად ფედერაციის საბჭოსათვის.

ვლადიკავკაზი. აქ ჩამოვიდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ივანე რიბკინი, რათა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილოს პრიგოროდნოეში ინგუშთა ავტობუსის აფეთქებასთან და, საერთოდ, ოს-ინგუშთა დაპირისპირებასთან დაკავშირებული საკითხები.

თელ-ავივი. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დაგმო იერუსალიმის არაბულ ნაწილში კიდევ ერთი ებრაული დასახლების მშენებლობის დაწყების გეგმები.

დელი. კოჩერილ რამან ნარაიანანი პარასკევს ოფიციალურად შეუდგა ინდოეთის პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებას. რესპუბლიკის პარლამენტის მთავარ დარბაზში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ახალმა პრეზიდენტმა დადო ფიცი, რომ თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს ინდოეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, მკაცრად დაიცავს კონსტიტუციას და იბრძოლებს ინდოეთის აყვავებისათვის.

ვაშინგტონი. თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის პრეზიდენტებმა ბილ კლინტონმა და რომან ჰერცოგმა განიხილეს ბოსნიაში სამშვიდობო მოწესრიგების პროცესი, უკრაინაში ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერისა და ნატოსთან ამ რესპუბლიკის ურთიერთობის განმტკიცების საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკა
№177. შაბათი, 26 ივლისი, 1997 წელი

# პოლიტიკური სტაბილურობა ჩვენი საზოგადოების ტრანსფორმირების უპირველესი პირობაა, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საშუალება და დემოკრატიული ცხოვრების ნორმაა; სხვაგვარად ვერ ავაშენებთ ჭეშმარიტად თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანას

სამართალდაცვის ორგანოებში გრძელდება ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმები, რათა მთელი ეს სისტემა „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონს შეესაბამებოდეს.

დღეს ჩვენ არ მოგვისმენია ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შექმნილი სპეციალური მუდმივი და დროებითი კომისიების ხელმძღვანელებისათვის. წლის შედეგების შეჯამებისას კი სპეციალურად მოვისმენთ ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თანათავმჯდომარის ბატონ ავთანდილ ჯორბენაძისა და არასრულწლოვანების სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კომისიის თავმჯდომარის ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის ანგარიშებს. ეს იქნება ძალიან სერიოზული, არსებითი და პრინციპული განხილვა. ამასთან, მინდა დავეთანხმო გამომსვლელებს, რომ ახალგაზრდობასთან, განსაკუთრებით, მცირეწლოვანებთან მუშაობამ, მეთვალყურეობამ, მეურვეობამ საქართველოში, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სახე უნდა მიიღოს და ეს უნდა იყოს სავსებით კონკრეტული საქმიანობა. ნარკომანიის პრობლემა ჩვენთვის ერთ-ერთი უმწვავესია. მან შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი ახალგაზრდობის დეგრადირება. მართალია, ამ ბოლო დროს ცოტა იკლო მისი გავრცელების კოეფიციენტმა, მაგრამ მდგომარეობა მაინც საგანგაშოა. ქვეყანა სატრანზიტოა და ჩვენ უკვე გვაქვს არაერთი მონაცემი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნის კარგად გაწვრთნილი საქმოსნები, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობენ სხვადასხვა ქვეყნებში, მოეძალნენ საქართველოს. ამიტომ საჭირო იქნება საგანგებო ღონისძიებების განხორციელება. უნდა შეიქმნას ბარიერი, რათა საქართველოზე ამ ტვირთმა არ გაიაროს. ამასთან, მინდა გითხრათ ერთი რამ: როდესაც საქართველოში მკვლელობათა და ანგარიშსწორებათა სერიალი დაიწყო, არსებობდა სერიოზული მასალები იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მიზეზი ამ ანგარიშსწორებებისა იყო ის, რომ სადღაც რაღაც დიდი კონტეინერი დაიკარგა და ბოლოს გაეიდა საზღვარგარეთ. ეს იყო მილიონებად ღირებული ნარკოტიკები.

ამით ხაზს ვუსვამ იმას, რომ ჩვენ კვლავაც დიდ სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ იმასთან დაკავშირებით, რომ სატრანზიტო ქვეყანა ვართ. ტრანზიტს დიდი სიკეთე მოაქვს, მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს, რომელსაც, ასევე, თვალი უნდა გავუსწოროთ. მინდა შევახსენო ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს, რომ კონცეფციის პროექტი სექტემბერში უნდა წარმომიდგინოთ.

კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის ყურადღება ერთ ახალ ასპექტზე უნდა გავამახვილო: ამავე კონცეფციაში უნდა გავიაზროთ **ეროვნული თანხმობის კონცეფციის ძირითადი პრინციპებიც**. ერთი ფრანგი ისტორიკოსი ამბობდა, რომ **„ერი არის მუდმივი პლებისციტი"**, ანუ — ერთობა მუდმივი თანხმობის საფუძველზე... ეს კონცეფცია უნდა ითვალისწინებდეს ყველა ქვეყნის ეროვნული თანხმობის ისტორიულ გამოცდილებას, მაგრამ არ უნდა იყოს სხვისი თარგების საქართველოსათვის ავტომატური მორგების ცდა. ჩვენი ისტორიისა და რეალობის შესაბამისად უნდა მოვძებნოთ ეროვნული თანხმობის მიღწევის ჩვენეული გზა, გავითვალისწინოთ ჩვენი დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს წილად ხვდა ქრისტესავით იყოს გაკრული გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახებათა ჯვარზე — მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში ჩვენი ბედისა და მომავლის გასაღები ეროვნულ, საერთო-სახალხო თანხმობაშია.

ბოლო პერიოდის გამოსვლებში რამდენჯერმე ზოგადად შევეხე კრიმინოგენური სტაბილურობიდან პოლიტიკურ სტაბილურობაზე გადასვლის საკითხს. დღეს საჭიროდ მიმაჩნია განვმარტოთ მისი ძირითადი არსი, დანიშნულება და მიზანი.

კრიმინოგენური სტაბილურობა, რომელსაც ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში მივაღწიეთ, ახლაც უმნიშენელოვანეს წარმატებად მიმაჩნია და არაერთხელ გამისვამს ხაზი, თუ რა უდავო დამსახურება მიუძღვით ამ საქმეში ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს და თითოეულ თქვენგანს.

უმთავრესი პოზიტიური შედეგი ასეთი სტაბილურობისა ის არის, რომ 1995 წლის შემოდგომიდან დასაბამი მიეცა ჩვენი არასახელმწიფოებრივი ყოფის დასასრულს. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პირველად გახდა შესაძლებელი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო უმთავრესი პირობის — ხელისუფლებრივ, ანუ პოლიტიკურ ურთიერთობათა აღდგენა.

მაგრამ ამგვარი პირობა თავისთავად შემდგომ წინსვლას როდი განაპირობებს. კრიმინოგენური სტაბილურობა იმ ფარგლებში, რომლებშიც ჩვენ იგი გვაქვს, შესაძლებელია ნებისმიერ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში, მათ შორის, დიქტატორულ სისტემაშიც. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეს არის ძალოვანი სტრუქტურების უმთავრესი და უპირველესი დანიშნულება.

ამოცანა კი, რომელზეც დღეს გვექნება საუბარი, გულისხმობს კრიმინოგენური სტაბილურობიდან პოლიტიკურ სტაბილურობამდე მისვლას, ანუ პოლიტიკურად სტაბილური დემოკრატიული საზოგადოების არსებობის უზრუნველყოფას.

ლაპარაკია კრიმინოგენურისა და პოლიტიკურის გამიჯვნისა და, ამავე დროს, ურთიერთგანპირობებულობის უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი ამოცანის არა მარტო გააზრებაზე, არამედ მის პრაქტიკულ სიბრტყეში გადაყვანაზე, ესე იგი, შესაბამისი კანონმდებლობის, უწყებების სტრუქტურული და ფუნქციური ტრანსფორმირების განხორციელებაზე.

კრიმინოგენურისა და პოლიტიკურის თანაფარდობის საკითხის სწორი გადაწყვეტა, ვფიქრობ, უნდა ემყარებოდეს უახლესი წარსულის ღრმა ანალიზს, ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა უპირობო, განუხრელ დაცვას.

თუ ჩვენი უახლესი წარსულის კრიმინალიზაციის მიზეზებს გავაანალიზებთ, უთუოდ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ კრიმინალისა და თოფიანი ყაჩაღის რეჟიმი განაპირობა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ.

ვეცდები განვმარტო უკანასკნელი თეზა.

ერთია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილშობილური, ჭეშმარიტად ჰუმანური მიზნები და შინაარსი და მეორეა მათი განხორციელების ფორმები, სტრატეგია და ტაქტიკა. ამ უკანასკნელს პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და არსებითად ესაა სწორედ პოლიტიკა. ასე რომ არ იყოს, საკაცობრიო, თუნდაც ქართულ აზროვნებაში ისტორიულად უძველეს ეპოქებშიც კი შეიძლება იპოვოთ ჭეშმარიტად ჰუმანური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ამსახველი იდეები. მაგრამ ისინი თავისთავად არ ხორციელდება და არც არასდროს განხორციელებულა, იდეათა რეალიზაციის გზები, ფორმები და საშუალებები არის სწორედ პოლიტიკა და ესაა მისი დანიშნულებაც.

ბოდიშს ვიხდი ამ თეორიული ჭეშმარიტების გამეორებისათვის, მაგრამ იგი საჭიროდ მივიჩნიე იმდენად, რამდენადაც ხელს შეუწყობს ჩემი შემდგომი მსჯელობის ზუსტ აღქმას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე 90-იანი წლების დასაწყისში იდგა ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა: პირველი, საბჭოთა იმპერიისგან განთავისუფლება და, მეორე, კომუნისტური რეჟიმის შეცვლა. ამიტომ ჰქონდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ანტიკომუნისტური შინაარსი. ამ ამოცანათა გადაწყვეტის სხვადასხვა გზა და ფორმა არსებობდა. მათ შორის, როგორც რეფორმისტული, ისე რევოლუციური. ნებსით, თუ უნებლიეთ, შეგნებულად, თუ შეუგნებლად ჩვენი მოძრაობა რევოლუციური გზით წარიმართა და მას იმთავითვე დაჰყვა რევოლუციურობისათვის დამახასიათებელი როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნები. რევოლუცია, როგორც პოლიტიკური და სოციალური რეფორმის საშუალება, სისხლთან, მსხვერპლთან, ნგრევასთან, ანგარიშსწორებასთან და შურისძიებასთან არის დაკავშირებული. ასეთია კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების ვერდიქტი.

ამ რევოლუციური უარყოფის უმთავრესი ნეგატიური შედეგი იყო სახელმწიფოებრივი ვაკუუმი და კრიმინალური სამყაროს მომძლავრება. რევოლუციური გზა პოლიტიკური დესტაბილიზაციით ვლინდება, პოლიტიკური დესტაბილიზაცია კი არის კრიმინოგენური დესტაბილიზაციის უმთავრესი მიზეზი.

მე ძალიან ზოგადად ვეხები ამ საკითხებს, რადგან სულ უფრო ხშირად გაისმის ჩვენს საზოგადოებაში მოწოდება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ მოვლენას, რომელსაც ამ ბოლო წლებში ჰქონდა ადგილი, შევხედოთ ახლებურად, გავიაზროთ და სათანადო შეფასებებიც მივცეთ. არ მაქვს პრეტენზია, რომ ამომწურავი იყოს ჩემი შეფასება, მაგრამ საუბარი ამ საკითხზე, ალბათ, უნდა დავიწყოთ.

არჩეული გზის გამო ქვეყანამ გამოიარა უდიდესი ტანჯვა, მაგრამ გაცილებით მოკლე დროში შეძლო აუარებელი სირთულისა და წინააღმდეგობის დაძლევა და განვითარების ცივილიზებულ გზაზე გადასვლა. ამაში ვხედავ განვლილი გზის პოზიტიურ შედეგს.

ვფიქრობ, ზემონათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს პოლიტიკური სტაბილურობის არსიც, მიზნებიც და ამოცანებიც. პოლიტიკური სტაბილურობა არის საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის მდგრადობისათვის საჭირო პირობათა საყოველთაო და უპირობო დაცვა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პოლიტიკურ პლურალიზმზე უარის თქმას, მაგრამ იგი არც იმას ნიშნავს, რომ პლურალიზმი ვაქციოთ დესტაბილიზაციის, სისტემის ნგრევის საშუალებად. პოლიტიკური პლურალიზმი უნდა იყოს დემოკრატიული განვითარების, პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტი, მაგრამ მხოლოდ კონსტიტუციისა და მისგან გამომდინარე, კანონების მკაცრი დაცვით.

ამ კანონების დაცვა სამართალდაცვის ორგანოების უპირველესი ამოცანაა, ხოლო მისი აღსრულება — მოქალაქეთა, პოლიტიკურ ძალთა უპირველესი მოვალეობა. თუ ეს არ იქნება, არ იქნება პოლიტიკური კულტურაც, ურომლისოდაც, საერთოდ შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა.

პოლიტიკური სტაბილურობის მიზანია სისტემის დაცვა ნგრევისაგან. ეს არის ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სტაბილური ცხოვრების უზრუნველყოფა, მათი დაცვა იმ საშინელებისაგან, რომელიც ჩვენ უკვე გამოვიარეთ. შეიძლება იცვლებოდეს ხელისუფლება — ეს დემოკრატიის ჩვეულებრივი ნორმაა, მაგრამ პოლიტიკური ცვლილებები არ უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციის, მოსახლეობის უბედურების საფუძველი. ჩვენი ცხოვრების ამგვარი მდგრადობის დაცვა კი, ვიმეორებ, არის ძალოვანი სტრუქტურების, კერძოდ, უშიშროებისა და სამართალდაცვის ორგანოების უპირველესი და უმთავრესი ფუნქცია. ამგვარი ფუნქციის სრულყოფილი განხორციელება გულისხმობს სამართალდაცვის ორგანოების დეპოლიტიზაციას არა ფორმალურს, არა დროებითს, არამედ რეალურსა და მუდმივს.

პოლიტიკური სტაბილურობა ჩვენი საზოგადოების ტრანსფორმირების უპირველესი პირობაა. იგი არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიყვანის საშუალება, არამედ დემოკრატიული, პოლიტიკური ცხოვრების ნორმაცაა. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ დასახული მიზნის მიღწევას — ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის აშენებას.

ამ ახალ პირობებში სამართალდაცვის ორგანოების ფუნქცია თავისი დანიშნულებით გაცილებით მეტია, ვიდრე მარტოოდენ კრიმინოგენური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ახალ მოთხოვნათა შესაბამისად უნდა განხორციელდეს სამართალდაცვის სისტემის არა მარტო სტრუქტურული ტრანსფორმირება, არამედ ახალი პროფესიული ცნობიერების ჩამოყალიბებაც.

თავისი სტრუქტურული და ფუნქციური დანიშნულებით სამართალდაცვის ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ დემოკრატიისა და პიროვნების რეალური თავისუფლების კანონიერ ხორცშესხმას. ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისადმი ან პოლიტიკური ლიდერისადმი სიმპათია-ანტიპათია არის ყოველი თქვენგანის პიროვნული უფლება, მაგრამ არა პროფესიული ფუნქციის განხორციელების საფუძველი და მოტივი. ჩვენი უზენაესი დანიშნულებაა დავიცვათ პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფოებრივი ცხოვრება ნებისმიერი ფაქტორისაგან, რომელიც ხელს უშლის ან საფრთხეს უქმნის ქვეყნის ნორმალურ, კონსტიტუციურ არსებობას და ფუნქციონირებას.

ახლა კი ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო რამდენიმე კონკრეტულ საკითხს:

პირველი — ძალიან მოკლედ იმ მოვლენის შესახებ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. თავისუფალი პრესის რედაქციათა ტელეფონების უკანონო მოსმენის ბრალდებას ბატონ შოთა კვირაიას გადადგომა მოჰყვა. ეს არის სახელმწიფო მოხელისა და მოღვაწის კეთილგონიერებისა და სიბრძნის ნიმუში. არც ჩემთვის იყო ადვილი ამ გადაწყვეტილების გაზიარება, რადგან კრიმინოგენური სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, როგორც არაერთხელ აღინიშნა პარლამენტში და რაზეც მეც ვრცლად ვისაუბრე, გამოკვეთილია ბატონ შოთა კვირაიას განსაკუთრებული დამსახურება, რომლის დავიწყების მორალური უფლება არავის გვაქვს.

ადამიანების, მით უმეტეს, თანამებრძოლების მიმართ უმადური არ უნდა ვიყოთ. კარგიც უნდა დავიმახსოვროთ და ცუდისგანაც გარკვეული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ამ ეტაპზე სხვა გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო. მომხდარი ფაქტის საბოლოო შეფასებისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ, რადგან პროკურატურაში გამოძიება გრძელდება. გამოძიების დამთავრების შემდეგ ვაპირებ შევხვდე უშიშროების სამინისტროს კოლექტივს. დამოუკიდებელ საქართველოს ძალზე სჭირდება ეს სამსახური. ჩვენ ყოველნაირად შევუწყობთ ხელს სამინისტროს ავტორიტეტის ამაღლებას, მაგრამ საქართველო ესწრაფვის ევროპულ სტანდარტებს და მისი საიდუმლო სამსახურიც ქვეყნის საერთო დემოკრატიულ-სამართლებრივი სივრცის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

აქ სწორად ითქვა იმის შესახებ, რომ თვითონ ამ ფაქტს გამართლება არ გააჩნია. სხვა სახელმწიფოში, ტოტალიტარული წყობის დროს, ეს სისტემა იყო. დღეს ეს საგანგაშო მოვლენაა ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიას აშენებს. მაგრამ, ამავე დროს, ამ ე. წ. სრულიად საიდუმლო მასალების გადინება, გატანა, მე ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სისტემაში ღრმა კრიზისთან გვაქვს საქმე. ეს კრიზისი ყველამ ერთად უნდა დავძლიოთ. უნდა წავახალისოთ ის თანამშრომლები უშიშროებაშიც და სხვა სისტემებშიც (ასეთია დემოკრატიული სახელმწიფოს ცხოვრების წესი), რომლებიც ხედავენ დარღვევებს და თავის კოლექტივში აყენებენ ამ პრობლემებს იქ, იმ კედლებში. თუ მხარდაჭერას ვერ პოვებენ, რა თქმა უნდა, მაშინ უნდა მიმართონ საზოგადოებას. თუ ამ პრინციპს მხარს არ დავუჭერთ, არ გვექნება არანაირი უშიშროება და ასეთი უშიშროების სამსახური კი არავის სჭირდება..

მეორე — საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სამართლიანად მიიჩნევენ მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვითი სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოდელის შექმნას. მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ საქართველოში ამ მხრივ უაღრესად შრომატევადი და სერიოზული მუშაობაა გასაწევი. ამასთან, გულწრფელად მივესალმები იმას, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის შემუშავებისას, თვით უმწვავესი დებატების დროსაც კი, აქტიურად თანამშრომლობდნენ როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ისე საკუთრივ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები. სწორედ ამ კოორდინირებული თანამშრომლობის წყალობით შესაძლებელი გახდა კანონპროექტში ასახულიყო ხელისუფლების შტოთა გამიჯვნის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების სახელმძღვანელო პრინციპები.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა სასამართლო ხელისუფლების დანიშნულება და ფუნქციები, და ამ ფუნქციების განხორციელებისათვის, კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის ამთავითვე გვმართებს სერიოზული ზრუნვა.

უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება საქართველოს იუსტიციის საბჭოს ჩამოყალიბების საკითხს, რომელიც კანონის თანახმად ჩემი სათათბირო ორგანო იქნება. უახლოეს მომავალში ახალი კანონის მიხედვით, მე გამოვცემ ბრძანებულებას იუსტიციის საბჭოს შექმნის შესახებ. შესაბამისად დაინიშნება და აირჩევიან იუსტიციის საბჭოს წევრები. ჩამოყალიბდება იუსტიციის საბჭოს აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს იუსტიციის საბჭოს ფუნქციონირების მატერიალურ და ორგანიზაციულ მხარეებს.

იუსტიციის საბჭოს, რომელიც თანაბარზომიერად დაკომპლექტდება სამივე ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, უთუოდ მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს. თქვენ იცით, რომ კანონის შესაბამისად იუსტიციის საბჭომ უნდა შეიმუშაოს წინადადებანი სასამართლო რეფორმის განხორციელების შესახებ, შეარჩიოს მოსამართლეთა კანდიდატურები, მოაწყოს საკვალიფიკაციო გამოცდები და შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ფაქტობრივად, იუსტიციის საბჭოზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ შევძლებთ ამ კანონის ამოქმედებას და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებას რეფორმათა იმ წრეში, რომელსაც დღეს შამობს ჩვენი სახელმწიფო, ეს ერთ-ერთი უველაზე რთული და ფაქიზად განსახორციელებელი რეფორმა გახლავთ.

კანონის უთუოდ საგულისხმო მომენტი არის ის, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებშიც შეიქმნება იუსტიციის საბჭოები, რომლებიც ცხრა-ცხრა წევრის შემადგენლობით დაკომპლექტდება. ავტონომიურ რესპუბლიკებში იუსტიციის საბჭოები გამართავენ კონკურსს მოსამართლეთა კანდიდატებისათვის, განსაზღვრავენ რაიონის მოსამართლეთა სპეციალიზაციას.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე საქართველოს იუსტიციის საბჭომ უნდა გამოაცხადოს კონკურსი, ხოლო 1998 წლის 15 მარტისათვის უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების მოწყობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მინდა ერთი მოსაზრება გაგიზიაროთ.

ბუნებრივია, ყოველგვარ რეფორმას ახლავს თავისი უარყოფითი მომენტები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სწორედ დადებითმა და პროგრესულმა იმპულსებმა უნდა იმძლავროს. მე მიმაჩნია, რომ იუსტიციის საბჭოს დანიშნულებაც ეს იქნება — კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს ახალი სასამართლო სისტემის ქმედითობა, მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ეს დამოუკიდებლობა დაემყარება იმ ადამიანებს, რომლებიც ამ კონკურსში გაიმარჯვებენ და შეირჩევიან განსაკუთრებული კრიტერიუმების შესაბამისად.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, ეს აუცილებლად განხორციელდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნებიან ღირსეული რეპუტაციის მქონე პროფესიონალები, მაგრამ არც გამოცდილება და დამსახურება იქნება დავიწყებული.

მომავალი წლის 1 მაისამდე საქართველოს იუსტიციის საბჭოს შესაბამისი წარდგინების საფუძველზე მივიღებ გადაწყვეტილებას თითოეული კანდიდატის შესახებ. მთავარია არ დაირღვეს რეფორმის დინამიზმი, არ დავუშვათ შეცდომები და სა[illegible]ლშივე არ შევლახოთ ახალი სასამართლოს ღირსება და ავტორიტეტი.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მიხედვით შეიქმნება ორი სააპელაციო სასამართლო — ქუთაისისა და თბილისში. გვექნება ახალი სისტემა რაიონული სასამართლოებისა. მიუხედავად იმისა, რომ უზენაეს სასამართლოში შეიქმნება საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც შეასრულებს სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამუშაოებს, მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით მაინც დიდი სამუშაოს შესრულება მოუწევთ მხარეების სახელმწიფო რწმუნებულებს. მე ვთხოვ აჭარის, თბილისის, მხარეების, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს, ხელი შეუწყონ სასამართლო რეფორმას და ყველა საშუალება გამოძებნონ იმისათვის, რომ სასამართლოებს შევუქმნათ ნორმალური მუშაობის პირობები.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. 1 გვ.

იხ. მე-3 გვ.

დოკუმენტი

## საქართველოს კანონი

### „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 7 თებერვლის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-95 წ.წ., №23-26, მუხ. 496) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა" შეიცვალოს სიტყვით „საქართველო", სიტყვა „საბუღალტრო" — სიტყვით „ბუღალტრული", სიტყვები „აუდიტორული ფირმა" — სიტყვებით „აუდიტური ფირმა", ხოლო სიტყვები „არასაბიუჯეტო ფონდები" სიტყვებით „სპეციალური სახელმწიფო ფონდები".

2. პირველი მუხლის მე-2 აბზაცში სიტყვა „ურთიერთობას" შეიცვალოს სიტყვით „ურთიერთობებს".

3. მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. აუდიტორული საქმიანობა მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს), აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას.

აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აუდიტორული მომსახურება მოიცავს ბუღალტრულ მომსახურებას, ექსპერტიზას და საკონსულტაციო მომსახურებას საფინანსო, დაბეგვრის და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა სფეროებში.

აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ სამეურნეო სუბიექტების ფინანსური კონტროლისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 3. აუდიტორული შემოწმება (აუდიტი) ტარდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (სავალდებულო აუდიტი), აგრეთვე სამეურნეო სუბიექტის ინიციატივით (საინიციატივო აუდიტი) სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიონ აუდიტორი (აუდიტური ფირმა) სამეურნეო სუბიექტის აუდიტორული შემოწმებისათვის. აუდიტორის შრომა ანაზღაურდება დამკვეთის ხარჯზე.

მუხლი 4. აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად — ლიცენზიის საფუძველზე და/ან აუდიტური ფირმის მეშვეობით".

4. მე-5 მუხლის მეორე აბზაცში სიტყვის „ფირმას" შემდეგ დაემატოს სიტყვები „და მის ფილიალს", ხოლო სიტყვა „მასში" შეიცვალოს სიტყვით „მათში".

5. ამოღებულ იქნეს მე-6 მუხლის მე-3 აბზაცი.

6. მე-9 მუხლის პირველი აბზაცის „ა" ქვეპუნქტში სიტყვა „მეთოდიკური" შეიცვალოს სიტყვით „მეთოდური", „ვ" ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები „და უცხო სახელმწიფოთა აუდიტორების (აუდიტური ფირმების) ლიცენზირება", ხოლო „ზ" ქვეპუნქტს — სიტყვები „ამასთანავე აუდიტორების (აუდიტური ფირმის) მუშაობის ხარისხის კონტროლი, მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობის, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებებისა და ნორმატიული აქტების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება"; ამავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ" ქვეპუნქტი:

„თ) ინდივიდუალური აუდიტორების და აუდიტური ფირმების საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მიღება და მისი შემდგომი ანალიზი".

7. მე-11 მუხლის „დ" ქვეპუნქტში სიტყვები „ეკონომიკურ სუბიექტთა" შეიცვალოს სიტყვებით „სამეურნეო სუბიექტთა".

8. მე-16 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტორსა (აუდიტურ ფირმასა) და დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულებით".

9. მე-17 მუხლის პირველ აბზაცში სიტყვა „კლიენტებისგან" შეიცვალოს სიტყვით „დამკვეთებისაგან".

10. მე-20 მუხლის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, დებულებები და ნორმატიული აქტები".

11. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. სამეურნეო სუბიექტები, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას, ვალდებულნი არიან საანგარიშო წლის 31 დეკემბრამდე შეატყობინონ საგადასახადო ინსპექციას აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების დადების შესახებ. აუდიტორული დასკვნა საგადასახადო ინსპექციას ჩაბარდება წლიურ ანგარიშებასთან ერთად.

სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სხვა სუბიექტების აუდიტორული დასკვნები უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს".

12. 25-ე მუხლის პირველი აბზაცის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აუდიტის ჩატარებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებებისა და ნორმატიული აქტების განზრახ დარღვევის დროს".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1997 წლის 27 ივნისი.

პარლამენტი

## დარღვევებმა შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო

### საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის განცხადება

ბოლო დროს გახშირდა ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის სამხედრო დაჯგუფებისა და სასაზღვრო ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და სხვა სახის არასამხედრო ტვირთების უკანონოდ გატანის ფაქტები. კერძოდ, მიმდინარე წლის მარტში მიდგ ქართლის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაფიქსირებულ იქნა 120 მმ რეაქტიული ჭურვებით დატვირთული რუსეთის შეიარაღებული ძალების სატვირთო მანქანები, რომლებსაც აღნიშნული საბრძოლო მასალა რუსეთში გაჰქონდათ.

ამავე წლის 14 მარტს რუსეთის № 62 სამხედრო ბაზის ავტოკოლონას საქართველოდან ნებართვის გარეშე გაჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სამშენებლო მასალები, ანალოგიური ფაქტი განმეორდა ა. წ. 19 მაისს.

ასევე სერიოზული დარღვევებით მოხდა ა. წ. 19 ივლისს სომხეთიდან და საქართველოდან რუსეთის სამხედრო ძალების ავტოკოლონის რუსეთში გადაადგილება.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რუსეთის სამხედროების მიერ მეთანხმების პირობების უხეშ დარღვევას და საქართველოდან გაურკვეველი წარმომობის სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთების უკანონო გატანის მცდელობას.

კომიტეტი თვლის, რომ საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალების ასეთი ქმედება ხელს ვერ შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომ გაჯანსაღებას და უარყოფითად იმოქმედებს ნდობის ფაქტორის ამაღლებაზე.

საქართველოში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო ტექნიკის გადაადგილების, შეიარაღებისა და ტვირთების გადაზიდვის საკითხები მოწესრიგებულია საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული სამხედრო ხელშეკრულების საფუძველზე.

გარდა ამისა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საბაჟოსა და ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ შეხვედრაზე მიღწეული იქნა დამატებითი შეთანხმება, რომლის საფუძველზე შეიქმნა „საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო ტექნიკისა და ტვირთების შემმოწმებელი ერთობლივი საქართველო-რუსეთის სამხედრო კომისია".

კომისიამ, მეთანხმების საფუძველზე, დადგენილი წესების თანახმად, უნდა უზრუნველყოს აღნიშნული შეთანხმების უპირობო მესრულება და საქართველოს ინტერესების დაცვა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ საქართველოდან ტვირთების უკანონო გატანისა და ადრე მიღწეული შეთანხმებების დარღვევის ფაქტებზე, საქართველოს შესაბამისი უწყებების მხრიდან არასათანადო რეაგირების გამო, აღნიშნულმა დარღვევებმა შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო.

სამხედრო ტექნიკისა და ტვირთების გადაადგილების დროს გამჟღავნებული დარღვევების აღმოჩენისას ავტოკოლონის შემდგომი გადაადგილება ყოვლად დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, ერთობლივი სამხედრო კომისიის ქართული მხარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობიდან მიღებული განკარგულების საფუძველზე, ნებას რთავს სამხედრო ავტოკოლონებს დაუბრკოლებლად დატოვონ საქართველოს ტერიტორია.

სრულიად აშკარაა, რომ რუსეთის სამხედროების საქართველოს ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ტვირთებისა და სამხედრო მოწყობილობების გატანა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან ყოვლად უპასუხისმგებლო და, ხშირ შემთხვევაში, დანაშაულებრივი ქმედების გამო. სავარაუდოა, რომ ჩვენი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან საქმე გვაქვს კორუფციის ფაქტებთან და საქართველოს ინტერესების სრულ უგულვებელყოფასთან.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის აზრით, საქმის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ქმნის საქართველოდან მისი კუთვნილი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უკანონო გატანის შესაძლებლობას, რის გამოც სერიოზულად ილახება ქვეყნის ინტერესები. შემდგომში ანალოგიური ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი თხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, რათა აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები და სამსახურებრივი მოკვლევის საფუძველზე ჩატარდეს საქართველოს ტერიტორიიდან ტვირთების უკანონოდ გატანის ფაქტების სერიოზული და ღრმა ანალიზი, ყველა დაინტერესებული უწყებისა და, პირველ რიგში, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელთა მონაწილეობით, განხილვის საფუძველზე გაკეთდეს სათანადო დასკვნები და მიღებულ იქნას პრინციპული გადაწყვეტილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური სტაბილურობა ჩვენი საზოგადოების ტრანსფორმირების უპირველესი პირობა, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საშუალება და დემოკრატიული ცხოვრების ნორმაა; სხვაგვარად ვერ ავაშენებთ ჭეშმარიტად თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანას

კანონის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო საქმიანობის ხარჯები გათვალისწინებული იქნება ცალკე მუხლით. საერთოდ, ამ კანონის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭება.

კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პროექტი, რომელიც სასამართლოების დასაფინანსებლად არის საჭირო, პრეზიდენტს წარედგინება იუსტიციის საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს შესაბამისი დეპარტამენტის წინადადებათა საფუძველზე, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მონაწილეობით, მაგრამ, ვიდრე არ შექმნილა იუსტიციის საბჭო, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ამ საკითხებზე ახლავე უნდა დავიწყოთ მუშაობა.

მე ვთხოვ ფინანსთა მინისტრს ბატონ მიხეილ ჭკუასელს, უზენაეს სასამართლოსთან, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან და იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაციების შემდეგ, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უშიშროების საბჭოს სხდომაზე განსახილველად შემოიტანოს ეს საკითხი.

უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში. მსოფლიო ბანკი გვპირდება გარკვეულ ფინანსურ დახმარებას. ამ დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი გამოყოფილი თანხების მიზნობრივად ხარჯვის კოორდინაციის ფუნქციები სათანადოდ უნდა მოგვარდეს.

მოკლედ, ძალზე რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება მოგვიწევს, რომელიც პრეზიდენტის, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების, ისევე, როგორც უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ვაშინგტონში ვიზიტის დროს ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის წინაშე დავაყენე, გახლდათ სწორედ ის, რომ დაფინანსდეს პროგრამა, რომელმაც უნდა შეგვიწყოს ხელი სასამართლო რეფორმის განხორციელებაში. აქვე მინდა ვთქვა: შეიძლება ჩვენი ეს რეფორმა და უზარმაზარი პროგრამა ფიქციად იქცეს, თუ ვერ გამოვნახავთ სახსრებს იმისათვის, რომ მოსამართლეები ნორმალური ხელფასით იყვნენ უზრუნველყოფილნი. როგორც უნდა ვეჭირდეს, მოსამართლე უნდა იყოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ის უნდა უფრთხილდებოდეს თავის ადგილს, სახელს, ავტორიტეტს. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ.

მესამე — ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შემდგომი გაღრმავების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა უშუალოდ არის დაკავშირებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის შემდგომ გააქტიურებასთან. მართალია, ამ სფეროში გადამწყვეტი სიტყვა საკანონმდებლო ხელისუფლებას — პარლამენტს ეკუთვნის, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივისა და მიზანმიმართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე ხელშესახებ შედეგებზე ვიფიქროთ. ამიტომაა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები თითქმის თანაბრად ეწევიან ამ ჭაპანს, რის საშუალებასაც მათ შორის დამყარებული პოლიტიკური ბალანსი, თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო იძლევა.

მარტო მიმდინარე წელს საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტმა მიიღო 74 კანონი, რატიფიცირებულია 49 საერთაშორისო ხელშეკრულება და კონვენცია. აქედან, 38 ფუძემდებლური კანონი, ესე იგი, ნახევარზე მეტი, მომზადებულია აღმასრულებელ ხელისუფლებაში და პარლამენტის მიერ მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით.

მათ შორისაა ისეთი ფუძემდებელი საკანონმდებლო აქტები, როგორიცაა: სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საზღვაო კოდექსი, განათლების კანონი, კულტურის კანონი და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებას, რომლის პროექტზე მუშაობას ავტორთა საკმაოდ ძლიერმა კოლექტივმა პროფესორ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით 4 წელიწადი შეალია, ხოლო პარლამენტმა მის განხილვას წელიწადზე მეტი დრო მოანდომა. სამოქალაქო კოდექსი, რომელიც 1520 მუხლისაგან შედგება, თავისი მნიშვნელობით კონსტიტუციის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის, კერძო საკუთრების, თავისუფალი მეწარმეობის, პიროვნების თავისუფლებისათვის მტკიცე სამართლებრივი გარანტიების შექმნა, ახალ დონეზე აიყვანოს სამოქალაქო ცხოვრება და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში. ახლა საჭიროა ამ კოდექსის ამოქმედებამდე, ესე იგი, მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე, იუსტიციის სამინისტრომ ყოველმხრივი იღონოს, რათა ახალი სამოქალაქო კოდექსი ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის.

ძალიან მსიამოვნებს, რომ ბატონ თედო ნინიძეს, მაღალი რანგის იურისტსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ძალიან კარგად და სწორად ესმის იუსტიციის სამინისტროს როლი და ადგილი რეფორმირებულ სახელმწიფოში.

პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 28 მაისს რატიფიცირებულია გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კონვენციის ძირითადი დებულებების გათვალისწინებით მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საშემოდგომო სესიაზე დასრულდება ახალი სისხლის სამართლის კოდექსის განხილვა და მიღება, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ წელს ნარკომანიის — ამ მეტად საშიში სოციალური სენის დასაძლევად სათანადო საკანონმდებლო ბაზა იქნება შექმნილი.

დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით მიმდინარე წელს მიღებულ იქნა კანონები, რომლებითაც ორმოცდაათამდე ცვლილება და დამატება შევიდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლიერებით მინდა აღვნიშნო კანონშემოქმედებით საქმიანობაში საპარლამენტო კომიტეტების, მთლიანად პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის ბატონ ზურაბ ჟვანიას აქტიური მუშაობა.

მეოთხე — აქვე მსურს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროს განეკუთვნება. ეს არის კონსტიტუციური კონტროლის, როგორც სასამართლო ხელისუფლების უაღრესად საგულისხმო ფუნქციის საკითხი.

უკვე ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ამოქმედდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც იხილავს ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა ერთი ძალიან საინტერესო ტენდენცია.

საქმე ის არის, რომ ინტენსიური კანონშემოქმედებითი პროცესის პარალელურად მიმდინარეობს ნორმატიული მასივის, ეგრეთ წოდებული, „კონსტიტუციური წმენდა“. კანონშემოქმედებითი პროცესი, მით უმეტეს, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ერთგვარი თავისებურებით გამოირჩევა და ამ თავისებურებას, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმების აუცილებლობა, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ. უფრო მეტიც, ამ რეფორმების ტემპი და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი რეკომენდაციები ზოგჯერ სასწრაფო და კარდინალურ საკანონმდებლო რეაგირებას მოითხოვს. თქვენ იცით, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ვერ გაართვეს თავი ამ მოთხოვნებს, რამაც სამართლებრივი ქაოსის საშიშროება შექმნა. ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია ეკონომიკური ურთიერთობების არასწორი რეგლამენტაცია, ძველი და ახალი კანონმდებლობის შეუთავსებლობა. მიმაჩნია, რომ საქართველოში ასეთი საშიშროება აღარ არსებობს. არ არსებობს, რადგან ამის ძირითადი გარანტი არის კონსტიტუცია და ის ორგანო, რომელმაც ერთი წლის ფუნქციონირების განმავლობაში თვალნათლივ დაგვანახა მისი მაღალი სტატუსი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისა არის ის, რომ საქართველოში თანდათანობით დამკვიდრდა რწმენა კონსტიტუციისა, მისი შეუვალობისა და უზენაესობისა. ეს, პირველ რიგში, უკავშირდება ადამიანის უფლებათა პრობლემას. ჩვენმა მოქალაქემ იცის, რომ თუკი სადმე ვერ მიაღწია სამართალს, თუკი რომელიმე ნორმატიულმა აქტმა ხელყო მისი კანონიერი ინტერესი, მას შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და დაიცვას საკუთარი უფლება. გულწრფელად მივესალმები ამ ტენდენციის დამკვიდრებას და მიმაჩნია, რომ იგი უფრო განმტკიცდება და შეუქცევად პროცესად იქცევა.

სხვათა შორის, მორიდან ვადევნებ თვალყურს და ვიცი, რომ ჩვენს საკონსტიტუციო სასამართლოში განცხადებების ძალიან დიდი ნაკადი შედის მთელი რიგი აქტების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ჩივიან მოქალაქეები, ორგანიზაციები. არ ვიცი, რამდენად შეძლებს უმაღლესი კვალიფიკაციის ადამიანთა ეს შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი მთელი ამ მასალის დამუშავებას. მოვა დრო, ჩვენში დაიხვეწება ეს კულტურა. რამდენადაც კონსტიტუციასთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ყველა ორგანიზაციის, სამინისტროს, უწყების საქმიანობა, იმდენად ნაკლები ექნება დატვირთვა ჩვენს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ყოველივე ეს საქართველოში კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე ქართული ვარიანტის დაფუძნების წარმატებული ცდაა. მჯერა, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, კონსტიტუცია იქნება თითოეული მოქალაქის სამაგიდო წიგნი, ყოველდღიური სახელმძღვანელო. უფრო მეტიც, ჩვენ უნდა შევქმნათ იმის ყველა პირობა, რომ მოსწავლეობის ასაკიდანვე ჩავუნერგოთ ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოს კონსტიტუციისადმი, როგორც შეუვალი და წარუვალი ღირებულებისადმი, პატივისცემის გრძნობა.

მეხუთე — ანტიკორუფციული პოლიტიკის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, 1997 წელი ანტიკორუფციული პოლიტიკის დასაწყისად გამოცხადდა. მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა და, ბუნებრივია, წარმოიშვა მუშაობის გარკვეული შეფასების აუცილებლობა.

ვიდრე ამ შეფასებას შევუდგებოდეთ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება მოკლედ შევეხოთ თვით ანტიკორუფციული პოლიტიკის არსს, ანუ იმას, თუ რით გამოიხატება ამგვარი პოლიტიკის შინაარსი. ამის საჭიროებას განაპირობებს ის, რომ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა არცთუ იშვიათად გაგებული იქნა მხოლოდ პიროვნებათა წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად. ყოველ შემთხვევაში, პრესის ანალიზი ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა. ცოტა არ იყოს, გამარტივებული, პრიმიტიული მიდგომა ჭარბობს ამ პრობლემებზე მუშაობისას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ შორსა ვართ ანტიკორუფციული პოლიტიკის ამგვარი ზედაპირული გაგებისაგან.

ქვეყნის საერთო მდგომარეობის ანალიზმა, კორუფციის მასშტაბისა და საფუძვლების შესწავლამ, ხელისუფლების დღევანდელ შესაძლებლობათა გათვალისწინებამ განსაზღვრა სწორედ ანტიკორუფციული პოლიტიკის არსი და მიზნები.

მასში უმთავრესია კორუფციის მიზეზების შემცირებისდაგვარი, ეტაპობრივი ლიკვიდაცია და არა შედეგების, ცალკეული პიროვნებების წინააღმდეგ ბრძოლის მარტივი კამპანია.

თუმცა, ვერც ამას ავცდებით —ჩვენ ბრძოლა უკვე დავიწყეთ, და ბუნებრივია, წავაწყდებით ცალკეულ კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც უგულვებელყოფენ კონსტიტუციას, უგულვებელყოფენ კანონებს. კამპანიური მიდგომის ეტაპი ჩვენმა საზოგადოებამ უკვე გაიარა, გავიარე პირადად მეც და საკმაო გამოცდილებაც დამიგროვდა იმისათვის, რომ აღარ გავიმეოროთ უაზრო წრებრუნვა. თუ ჩვენ ამას მაინც ვიზამთ, ეს იქნება მხოლოდ ხელისუფლების გარეგნული ეფექტის შექმნა და დაავადების დროებითი პროფილაქტიკა.

ანტიკორუფციული პოლიტიკა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა, კორუფციის სოციალურ-ეკონომიკური, ბიუროკრატიული და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური მიზეზების ლიკვიდაციას. იგი დროში ხანგრძლივი იქნება და არა კამპანიური, რადგან ხანგრძლივია თვით მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის პროცესი, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

მაგრამ ზემოთ ნათქვამი არც იმას ნიშნავს, რომ კორუმპირებულნი, თუნდაც მაღალი თანამდებობის პირნი, და, უწინარესად, ისინი, ჩვენი მხედველობის გარეთ რჩებიან.

ლაპარაკია ანტიკორუფციული პოლიტიკის კომპლექსურობასა და ეტაპობრიობაზე. ამჟამად უპირველესი ამოცანაა ერთგვარი მოჯადოებული წრიდან გასვლა, რომელსაც სუსტი ეკონომიკა, ცხოვრების დაბალი დონე და ასევე სუსტი ბიუჯეტი განაპირობებს. მაგრამ მოძრაობა ამ მოჯადოებული წრიდან გასვლისათვის დაწყებულია.

ვგულისხმობ შემდეგს:

— განხორციელდა კორუფციის უმთავრესი ობიექტების გამოვლენა და ლოკალიზება. შესაძლოა, მისი შედეგები მარტივად ხელშესახები და კონკრეტული არ არის, მაგრამ იგი საწყისი ეტაპის უმნიშვნელოვანეს და საჭირო საქმედ გვესახება. სწორედ მისი შედეგია ის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ქონების მითვისებისა და იოლი გზით გამდიდრების ის შეუზღუდავი და განუკითხავი შესაძლებლობები, რომლებიც თითქმის ხუთი უკანასკნელი წლის განმავლობაში სახელმწიფოს გაპარტახებასა და მოსახლეობის შეუნელებელ გაჩანაგებას იწვევდა.

თუ ანტიკორუფციული პოლიტიკის შედეგებს გავადევნებთ თვალს, არ შეიძლება არ დავინახოთ ის სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები, რომელთა მიზანია სწორედ კორუფციის ბიუროკრატიული მიზეზების აღმოფხვრა. შესაძლოა, გარეგნულად ეს სწრაფ შედეგებსა და მკვეთრ გამოხატულებას არ პოულობს, მაგრამ მას ამ ეტაპზე ნამდვილად პოზიტიური შედეგები აქვს, განსაკუთრებით კი იგი უახლოეს მომავალში გამოვლინდება. ამ თვალსაზრისით, ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება რამდენიმე კანონის, უწინარეს ყოვლისა კი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (რომელიც პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულია), სახელმწიფო მოხელისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონთა მიღებას. პრეზიდენტის დავალებით პარალელურად მიმდინარეობს უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ ყოველი კანონპროექტის, ეგრეთ წოდებული, ანტიკორუფციული ფილტრაცია და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მიუხედავად აღნიშნულისა, სწორედ ირაციონალური ბიუროკრატია რჩება კორუფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად. უწყებებსა და სახელმწიფო ორგანოებში ჭარბობს სტრუქტურულ ცვლილებათა გარეგნულობა, მოჩვენებითობა. ამგვარი ცვლილებები ზოგჯერ ფორმალიზმით ამოიწურება. საკმარისი იყო გამოეცხადებინა ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომ ლამის ყველა უწყებამ საკუთარი ანტიკორუფციული განყოფილება, ჯგუფი ან სამსახური შექმნა. ეს, თავისთავად, ცუდი არ არის, თუკი შედეგს მოიტანს, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჩანს.

ფორმალიზმამდე დაიდა კადრების შემცირების საკითხი, არცთუ იშვიათად, სტიქიურად ხორციელდება სტრუქტურული ცვლილებები.

ჩვენი ამოცანაა ტლანქი, უხეში და ხარჯიანი ბიუროკრატიის გარდაქმნა. ყოველი ცვლილება უნდა ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს — ეკონომიკა, თითოეული მოქალაქე და მთლიანად საზოგადოება განთავისუფლდეს ბიუროკრატიული მარწუხებისაგან. ბიუროკრატია თავისი სტრუქტურით ხელს უნდა უწყობდეს ამგვარ თავისუფლებას და აკმაყოფილებდეს დღევანდელ მოთხოვნებს.

აქვე კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შესაბამისი საპარლამენტო კომისიის ეფექტიანი მუშაობა, რომელსაც ბატონი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობს.

ამ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრია ხმაური, ზოგჯერ სწორად აფასებენ, ზოგჯერ ძალიან გაღიზიანებული არიან, მაგრამ თვითონ თემა და საგანია ისეთი, რომელმაც შეუძლებელია არ გამოიწვიოს სერიოზული წინააღმდეგობები.

როგორ ვებრძოლოთ კორუფციას აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მთავრობაში, როგორ ვებრძოლოთ კორუფციას მთელ სასამართლო სისტემაში, როგორ გამოვავლინოთ კორუმპირებულები პარლამენტში? ნუ წარმოვიდგენთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ უწყებებში ყველანი ანგელოზის ფრთებით დადიან. კორუფციის დაძლევისათვის ბრძოლა მეცნიერულ მეთოდოლოგიას და მსოფლიოში აპრობირებულ ფორმებს უნდა ეყრდნობოდეს. ეს ჩემი ღრმა რწმენაა. ვხელმძღვანელობდი რა ამ დებულებით, მე თხოვნით მივმართე მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს დააფინანსოს საქართველოში ასეთი მეცნიერული პროგრამის დამუშავება. ამის მაგალითი უკვე არსებობს ლიტვაში, ზოგიერთ სხვა ქვეყნებში.

პროგრამის დაფინანსება საშუალებას მოგვცემს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოძრაობაში ჩავაბათ ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსები, მოვიწვიოთ უცხოელი ექსპერტები, შემოქმედებით მივლინებებში გავაგზავნოთ ჩვენი სპეციალისტები უცხოეთში დაგროვილი დადებითი გამოცდილების შესასწავლად.

ერთი სიტყვით, ჩემი შენიშვნა ის არის, რომ საჭიროა უფრო ფუნდამენტური, არსებითი, თუ გნებავთ, მეცნიერული მიდგომა, რათა ეს სენი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იკიდებს ფეხს და ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება, როგორმე დავძლიოთ და მომავალ თაობებს შედარებით ჯანსაღი საზოგადოება დავუტოვოთ.

მეექვსე — ამ ბოლო წლებში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ქვეყანაში უნდა გახდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით მრავალი ღონისძიება განხორციელდა. პარლამენტმა მიიღო კანონი სახალხო დამცველის შესახებ და, იმედია, დააჩქარებს სახალხო დამცველის კანდიდატურის დამტკიცებას; გაუქმდა „ჩაწერის ინსტიტუტი“, სახელმწიფომ ღონისძიებები განახორციელა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, მათი კულტურისა და ენის განვითარების გარანტიების შესაქმნელად.

ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობაში ის, რაც აქ ჩამოვთვალეთ, საკმარისი არ არის. საკმარისი არ არის მათი მარტო უფლების აღიარება. საჭიროა, ისინი ჩავაბათ მთელ ჩვენს საქმიანობაში, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. საჭიროა ისინი წარმოდგენილი იყვნენ მთავრობაში, სამინისტროებში, უფრო გაბედულად — პარლამენტში, თუ გვინდა, რომ ისინი ნამდვილ პატრიოტებად და საქართველოს მოქალაქეებად თვლიდნენ თავს. ყოველივე ეს პოზიტიურად შეფასდა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე, სადაც განიხილეს საქართველოს პირველადი მოხსენება. კომიტეტის დასკვნაში გამოხატულია სამართლიანი შეშფოთება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ჯერ კიდევ არსებული სირთულეების გამო.

ჩვენ ვაღიარებთ ამ სირთულეებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავალი საჩივარია წინასწარი დაკავების სტადიაზე, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევათა გამო. ვავალებ, მოვითხოვ შესაბამისი მინისტრისა და პროკურორისაგან: ბოლო მოეღოს, აღარ გვინდა ვითმინოთ უცხოელი თუ ჩვენი მოქალაქეების საჩივარი იმის შესახებ, რომ წინასწარი დაკავების საკნებში ირღვევა კანონიერება. მძიმე მდგომარეობაა სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში. ეს, ალბათ, ახალი ბიუჯეტის შედგენისას სერიოზულად უნდა გავითვალისწინოთ. მარტო შიშველი ხელებით ვერაფერს გავხდებით. პატიმრებისათვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები. მოუგვარებელია მიუსაფარ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა მდგომარეობა, თუმცა, ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს უნდა იყოს სახელმწიფო პროგრამა.

1997 წლის 18 აპრილს მე შემოვიღე ახალი თანამდებობა — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. 1997 წლის 12 მაისს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ და დავამტკიცეთ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა განყოფილების დებულება. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ფართო უფლებამოსილებები მივანიჭე, უფრო სწორად, მოვახდინე პრეზიდენტის უფლებამოსილებათა დელეგირება და ამ ახალმა სტრუქტურამ უკვე სერიოზული მუშაობა დაიწყო.

1997 წლის 3 ივნისს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“. ადამიანის უფლებათა დაცვის გადაუდებელ საორგანიზაციო ღონისძიებათა შემუშავების მიზნით შეიქმნა საუწყებათაშორისო კომისია.

ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ქალბატონ რუსუდან ბერიძეს, რომელსაც ჩვენ ყველა კარგად ვიცნობთ და დიდ პატივს ვცემთ.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები პირადად ჩემს მუდმივ კონტროლს დაექვემდებარება.

ამასთან დაკავშირებით, მინდა შემდეგი შენიშვნა გავაკეთო: პიროვნების უფლებათა გარანტირებული დაცვა დემოკრატიული ქვეყნის იმპერატივია, დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია.

ამავე დროს, ადამიანის უფლება რომ დავიცვათ, უნდა უზრუნველვყოთ სახელმწიფო მოხელის, პოლიციელის, პარლამენტარის, გამომძიებლის უფლებათა სწორი გაგება, ამ უფლებათა დაცვა.

მე კარგად ვიცნობ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის კლასიკური დემოკრატიის ქვეყნების პრაქტიკას. იქ პოლიციელი სასტიკად ისჯება, თუ მან უფლებას გადააჭარბა, მაგრამ პოლიციელმა ისიც იცის, რომ მთელი საზოგადოება და სახელმწიფო აღსდგება მის დასაცავად, როდესაც მის უფლებებს ხელყოფენ, მის უსაფრთხოებას ექმნება საფრთხე.

სახელმწიფო მოხელის, გამომძიებლის, პარლამენტარის, მოსამართლის, ადვოკატის ფუნქციათა აღრევა, განსაკუთრებით მინდა ამას ხაზი გავუსვა, ახალგაზრდა სახელმწიფო ვართ და ზოგიერთი რამ შეიძლება გვეშლება, საყოველთაო ქაოსამდე მიგვიყვანს, თუ დროულად არ დავამყარებთ წესრიგს.

საჭირო იქნება ამ თემაზე სერიოზული ანალიზი, გულახდილი და მშვიდი საუბარი და, რაც მთავარია, საჭირო ღონისძიებათა და რეგლამენტების განსაზღვრა.

ახლა მინდა მოგახსენოთ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომელიც გუშინ მივიღე. ეს გადაწყვეტილება სერიოზული ფიქრის და განსჯის საგანია. გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ ხელი არ მომიწერია. თუ დღეს თქვენგან ძალიან უარყოფითი რეაქცია იქნება, გადავდებ ცოტა ხნით კიდევ. ეს არ არის უბრალო საკითხი.

თქვენ უკვე იცით, რომ საქართველოს პარლამენტმა პირველი წაკითხვით უკვე მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. კოდექსის თანახმად, ყველა იმ მუხლზე, რომლებიც ადრე სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, ახლა შემოდის ახალი სასჯელი — უვადო პატიმრობა.

საქართველომ, რომელიც დაეყრდნო ჰუმანიზმისა და შემწყნარებლობის საუკუნოვან ტრადიციებს, დაადგა დემოკრატიის გზას, ამ გზაზე უკვე გადადგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი — უარი თქვა სიკვდილით დასჯაზე.

ბუნებრივად დაისვა კითხვა, როგორ გადაწყდეს იმ სიკვდილმისჯილთა ბედი, რომელთაც უკვე მისჯილი აქვთ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

გაიმართა კონსულტაციები და მივედით დასკვნამდე, რომ რადგან უარი ვთქვით სიკვდილით დასჯაზე, ჩვენ მათ მიმართ ველარ გამოვიყენებთ სასჯელის ამ ზომას, მაგრამ ამ პირებისათვის უვადო პატიმრობის სასჯელის გამოყენებაც არ შეიძლება. როცა მათ დანაშაული ჩაიდინეს (უნდა ვთქვა, რომ უმეტეს შემთხვევაში საქმე საზარელ დანაშაულთან გვაქვს), არ არსებობდა სასჯელის ეს ზომა — უვადო პატიმრობა. სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმის თანახმად, პირს არ შეიძლება შეეფარდოს ის სასჯელი, რომელიც არ არსებობდა, როცა დანაშაული ჩაიდინა.

არჩევანი ასეთი იყო: ან სიკვდილით დასჯა და ეს შესაბამის სტრუქტურებს სისრულეში უნდა მოეყვანათ, ან თავისუფლების ოცი წლით აღკვეთა.

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის ო) პუნქტი პრეზიდენტს ანიჭებს მსჯავრდებულთა შეწყალების უფლებას. მე ეს უფლება მინდა გამოვიყენო და ორმოცდათოთხმეტ სიკვდილით მსჯავრდებულს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა შევუცვალო ოცი წლით თავისუფლების აღკვეთით.

ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება ძნელი იყო. მე მესმის ამ მსჯავრდებულთა მიერ გაუბედურებული ოჯახების ტკივილი, მაგრამ მჯერა, რომ მათ სულგრძელობა ეყოფათ და ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯს სწორად გაიგებენ.

მეშვიდე — ტრადიციისამებრ, დღეს ჩვენ მოვისმინეთ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ზურაბ მეფარიშვილის ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობის დონის ამაღლებისათვის, უმნიშვნელოვანესია ჯარების პირადი შემადგენლობით ხარისხიანი დაკომპლექტება.

როგორც საგაზაფხულო გაწვევის შედეგები გვიჩვენებს, საქართველოს სამხედრო კომისარიატების ძირითადმა ნაწილმა მმართველობის სამხარეო, საქალაქო და რაიონული ორგანოების აქტიური მხარდაჭერით შეასრულა საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული გეგმა-დავალება.

სამხედრო შენაერთები და ნაწილები, ძირითადად დაკომპლექტდნენ ფიზიკურად ჯანსაღი და მაღალი პატრიოტული სულისკვეთების მქონე ახალგაზრდებით. გასულ წლებთან შედარებით უკეთესად გადაწყდა მოქალაქეთა გაწვევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. უნდა გითხრათ, რომ ამ საკითხებში ისევე, როგორც სხვა საკითხებში, გაცილებით უფრო გამართულად მოქმედებს და ფუნქციონირებს თავდაცვის სამინისტრო და მისი მინისტრი.

გაიმართა წვევამდელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, გაწვევის პროპაგანდის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქების და რაიონების სამხედრო კომისარიატებისა და ქალაქის საბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ შეკრებას.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად მოწყობას.

საუკეთესოთა შორის მინდა აღვნიშნო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქ თბილისის ისნისა და ჩუღურეთის, გორის, რუსთავის, კასპის, ონის, რეთის, მარნეულის, სამტრედიის, ხაშურის საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი ხელისუფლებისა და კომისარიატების მუშაობა.

ახალგაზრდობის გაწვევის, სამხედრო ძალების ხარისხიანად დაკომპლექტების საქმეში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი და მოსაგვარებელი. ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი თავდაცვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებს.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ასევე ორგანიზებულად მოეწყობა საშემოდგომო გაწვევაც, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყება.

და ბოლოს, ტრადიციისამებრ, ძალიან მოკლედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.

მე ამ საკითხზე არ შევჩერდებოდი და, ალბათ, არც არის აუცილებელი ყველა გამოსვლაში ამაზე საუბარი, მაგრამ მივიღე წერილი, რომელშიც მთხოვენ განვუმარტო, სამართალდამცავი ორგანოების მიერ რა ხასიათის რეაგირებაა აუცილებელი, როდესაც, მაგალითად, ერთ-ერთი გაზეთი წერს, თითქოს ვახტანგ ესვანჯიამ (ის საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა და მეც კარგად ვიცნობ) უდედმამო ბავშვები საზღვარგარეთ დაარიგა. წერილში ნათქვამია, რომ ეს შემზარავი ტყუილია, რადგან ესვანჯია ნამდვილად ღირსეული პიროვნება და ერთგული მამულიშვილია. წერილის ავტორები წერენ, რომ პრობლემა სერიოზულია და მასმედიის როლს ეხება, მსგავსი ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვება საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის დამღუპველია და ა. შ.

მე პირადად მაქვს შეხება ამ თემასთან. მე შარშან და წელსაც მომმართა თხოვნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და შარშან ლტოლვილი ბავშვები გავაგზავნეთ იტალიაში. ისინი 2-3 თვის განმავლობაში იტალიელთა ოჯახებში ისვენებდნენ, სწავლობდნენ იტალიურ ენას, გამოჯანსაღდნენ. ეს იყო 200-ზე მეტი ბავშვი. ისინი იქიდან ბედნიერები დაბრუნდნენ. წელს ისევ მომმართეს თხოვნით, მათ შორის, ბატონმა ესვანჯიამაც. ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ უშიშროების საბჭოზე და გადავწყვიტეთ, გამოგვეყო თანხები გზის ასანაზღაურებლად. ძირითადად, ეს ომში დაღუპულთა შვილები არიან. წელს, თუ არ ვცდები, 300-მდე ბავშვი გავაგზავნეთ. ჩემი იქ ყოფნის დროს, იტალიის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განმიცხადეს, რომ ამაყობენ თავიანთი წვლილით აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისათვის ელემენტარული პირობების შექმნაში.

ვახტანგს ვიცნობ, ალბათ, 40 წელიწადია. ის დაკავშირებული იყო პარტიზანული მოძრაობის გმირებთან, მონაწილეობდა საქართველოსა და იტალიის ქალაქების დაძმობილებაში, უამრავი მეგობარი ჰყავს და ვერ წარმოვიდგენ, რომ მან თავისი ავტორიტეტი და გავლენა გამოიყენა, რათა ბავშვები დაეყიდა ან რამე მსგავსი გაეკეთებინა.

ალბათ, თვითონ ის გაზეთი გაერკვევა. თუ მართლაც კონკრეტული ფაქტი არსებობს, ამ საქმეში დანდობა არ უნდა იყოს, მაგრამ მე ძნელად წარმომიდგენია, ადამიანმა უღალატოს თავის თავს და თავის ხალხს.

ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მადლიერებით უნდა აღვნიშნო კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში საქართველოს ტელერადიოკორპორაციის აქტიური შემოქმედებითი მუშაობა.

არაერთხელ შემინიშნავს, რომ ბოლო ხანებში საქართველოს თავისუფალ პრესაში სახელმწიფოებრივი აზროვნება, ზოგიერთი პრინციპული საკითხისადმი საერთო სახელმწიფოებრივი მიდგომის ტენდენცია გამოიკვეთა, რითაც პრესამ სადღაც გაუსწრო კიდეც დროს და მოვლენებს. მე არ მსურს ცალკეული გაზეთების ან პუბლიკაციების გამოყოფა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული მასმედიის ცალკეულმა წარმომადგენელმა კვლავაც ვერ მოიცილა პროვინციალიზმის სენი. ძალიან მწყდება გული ამის გამო. ვხედავ, როგორ იზრდება და ფორმირდება ჭეშმარიტად თავისუფალი პრესა, როგორ უმჯობესდება ყოველდღიურად, მაგრამ ეს სენი, რომელსაც მე პროვინციალიზმს დავარქმევ, მაინც ვერ მოვიცილეთ.

ამ სამი დღის წინათ შევხვდი სხვადასხვა ტელეკომპანიებისა და გაზეთების ჟურნალისტთა საკმაოდ დიდ ჯგუფს. მქონდა დახურული შეხვედრა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქტორთა ჯგუფთან — დაახლოებით 25-30 კაცთან. ესენი არიან თანამედროვე ჟურნალისტიკის გრანდები. მე, ალბათ, უკვე მეოთხედ ვხვდები მათ და უნდა გითხრათ, რომ ძალიან ვცოდავთ, როდესაც ჩვენს ჟურნალისტებს ვერ ვაძლევთ მათთან კონტაქტის საშუალებას. ეს იყო უმაღლესი კვალიფიკაციის შეკითხვები, რომლებიც არა მარტო მათ გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე მიუთითებს, არამედ სიბრძნეზე, ჭკუაზე, გონიერებაზე და მათთან კამათი და საუბარი, რომელმაც საათნახევარზე მეტ ხანს გასტანა, ჩემთვისაც საკმაოდ კარგი სკოლა იყო.

ჩვენი თავისუფალი პრესა მართლაც დიდი მონაპოვარია, მაგრამ თუ მე მეტის სურვილს გამოვთქვამ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი გულშემატკივარი ვარ და მინდა გაცილებით უფრო პროფესიული, გნებავთ, უფრო სერიოზული იყოს თქვენი კრიტიკული შენიშვნები. მიმაჩნია, რომ ჩვენ მართლაც საინტერესო გზით მივდივართ. ვინც ამერიკაში მახლდა, დამიდასტურებს, როგორი წარმოდგენა შეიქმნა საქართველოზე. თუ წინათ ერთ კაცზე იყო ლაპარაკი, ახლა საქართველოს ფენომენზე, მის უნიკალურ მდებარეობაზეა ლაპარაკი, იმაზე, რომ საქართველოა ევრაზიის დერეფნის ინიციატორი, რომ მან მოახერხა განსაცვიფრებელი წარმატების მოპოვება დემოკრატიულ მშენებლობაში. ამის ერთ-ერთი პირველი ნიშანი არის თავისუფალი პრესა, მაგრამ თავისუფლებასაც აქვს საზღვარი.

მინდა ჩემი დღევანდელი გამოსვლა დავამთავრო იმით, რომ ჩვენ ყველამ, ალბათ, გარკვეული კმაყოფილება მივიღეთ დღევანდელი საქმიანი და სერიოზული განხილვით. პროგრამა ჩამოყალიბდა. ვფიქრობ, ბრძანებულება ჩვენი მსჯელობისა და დისკუსიის ადეკვატური ანარეკლი იქნება.

მინდა გისურვოთ წარმატებები ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დასასრული. დასაწყისი იხ. I-II გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№177. შაბათი, 26 ივლისი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 25 ივლისი ქ. თბილისი

## იმ პირთა შეწყალების შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა

**ვხელმძღვანელობ რა ჰუმანიზმის პრინციპებით საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის ო) პუნქტის საფუძველზე, შეწყალებული იქნენ სიკვდილით მსჯავრდებულები:**

1. მამილ ნასრადინოღლი ალიევი, დაბადებული 1955 წელს, მცხოვრები ბოლნისის რაიონის სოფელ ტალაეერში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

2. დავით რემზის ძე ასანიძე, დაბადებული 1951 წელს, მცხოვრები ხელვაჩაურის რაიონის დაბა მახინჯაურში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 20 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

3. თამაზ დავითის ძე ასანიძე, დაბადებული 1946 წელს, მცხოვრები ხელვაჩაურის რაიონის დაბა მახინჯაურში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 20 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

4. გიორგი ვახტანგის ძე ასლამაძე, დაბადებული 1976 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-3 ა მიკრორაიონი, მე-16 კორპ. ბინა 59 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 25 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

5. ჯუმბერ სულიკოს ძე ბარამიძე, დაბადებული 1964 წელს, მცხოვრები ქ. ბათუმში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

6. იოსებ ალექსანდრეს ძე ბაღათურია, დაბადებული 1955 წელს, მცხოვრები ქ. ქუთაისში, 26 მაისის ქუჩის პირველი შესახვევი № 14 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 3 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

7. ზვიად იოსების ძე ბეროშვილი, დაბადებული 1971 წელს, მცხოვრები გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

8. ზურაბ თეიმურაზის ძე გეთიაშვილი, დაბადებული 1973 წელს, მცხოვრები ქ. გურჯაანში, თელავის ქ. № 20 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 8 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

9. პეტრე გედევანის ძე გელბახიანი, დაბადებული 1962 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. № 102 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 6 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

10. მამედ იონას ძე გერგედავა, დაბადებული 1951 წელს, მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 28 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

11. გელა ვიქტორის ძე გოგიჩაიშვილი, დაბადებული 1969 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ახტალის ქ. № 7 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

12. დავით დემონის ძე გორგაძე, დაბადებული 1974 წელს, მცხოვრები მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში, თავისუფლების ქუჩა № 11 ა, ბინა 12 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 22 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

13. გელა ჯონდოს ძე დამენია, დაბადებული 1970 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის I კვარტალი, 12 კორპუსი, ბინა 31 და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 4 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

14. გრიგოლ ფილარეტის ძე დემურჩევი, დაბადებული 1963 წელს, მცხოვრები წალკის რაიონის სოფელ წინწყაროში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

15. მალხაზ რაჟდენის ძე დიასამიძე, დაბადებული 1964 წელს, მცხოვრები ქ. ბათუმში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

16. ირაკლი ნოდარის ძე დოკვაძე, დაბადებული 1961 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი 33, ბინა 42 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 6 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

17. მალხაზ მერაბის ძე დოლიძე, დაბადებული 1971 წელს, მცხოვრები ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. 21, ბინა 4 და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 9 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

18. სოსო ლეონიდეს ძე დრობიშჩევი, დაბადებული 1971 წელს, მცხოვრები ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაურში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 24 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

19. ბაგრატ როსტომის ძე ვამაყმაძე, დაბადებული 1956 წელს, მცხოვრები ქ. ლაგოდეხში, ზაქათალის ქ. № 2, ბინა 22 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 15 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

20. გულივერ ორდენის ძე ზარანდია, დაბადებული 1960 წელს, მცხოვრები ქ. სენაკში, წითელი დროშის ქუჩაზე და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 10 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

21. გიორგი მიოს ძე თეთრაული, დაბადებული 1972 წელს, მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ ფშაველში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 4 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

22. გივი გიორგის ძე თინიკაშვილი, დაბადებული 1965 წელს, მცხოვრები ქ. კასპში, სტალინის ქ. № 24 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 13 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

23. გიორგი ელიზბარის ძე იობაშვილი, დაბადებული 1961 წელს, მცხოვრები ქ. ბორჯომში, ბერიძის ქ. № 7 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 24 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

24. ვლადიმერ გურგენის ძე ისაიანი, დაბადებული 1965 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, მე-3 მასივი, კალოუბნის ქ. № 24 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

25. ვასილ ერვანდის ძე კანდელაკი, დაბადებული 1963 წელს, მცხოვრები ქ. კასპში, სააკაძის ქ. № 14 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 18 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

26. ირაკლი გივის ძე კერესელიძე, დაბადებული 1975 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში მოსკოვის პროსპექტი № 44, ბინა 10 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 24 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

27. ილია ჰამლეტის ძე კონჭოშვილი, დაბადებული 1960 წელს, მცხოვრები ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 1 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

28. თეიმურაზ იურის ძე კოპლატაძე, დაბადებული 1968 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 44 ა, მე-4 კორპუსი, ბინა 70 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1994 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

29. იური ვლადიმერის ძე ლიუბიმოვი, დაბადებული 1955 წელს, მცხოვრები ყვარლის მეურნეობის დასახლებაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

30. მამუკა ასლანის ძე მამალაძე, დაბადებული 1963 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, გლდანის მასივი, I მიკრორაიონი, მე-12 კორპუსი, ბინა 12 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 1 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

31. გურამ ივანეს ძე მანაგაძე, დაბადებული 1950 წელს, მცხოვრები ქ. ბოლნისში, დავით აღმაშენებლის ქ. № 7 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

32. ზურაბ სურენის ძე მარქარიანი, დაბადებული 1977 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, წყნეთის I ჩიხი № 18 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 6 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

33. არკადი გიორგის ძე მასურაშვილი, დაბადებული 1967 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, გახოკიძის ქ. № 34 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 14 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

34. აბიბვალი ოღლი მეხტიევი, დაბადებული 1973 წელს, მცხოვრები მარნეულის რაიონის სოფელ ტაზაკენტში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 17 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

35. ანზორ ირაკლის ძე მიმინოშვილი, დაბადებული 1975 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ჯავის მე-2 ჩიხი № 9 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 25 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

36. ალადინ მაილ ოღლი ნამაზოვი, დაბადებული 1968 წელს, მცხოვრები გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 22 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

37. ზეინალ აჯიას ძე ნორზალოევი, დაბადებული 1958 წელს, მცხოვრები კასპის რაიონის სოფელ სადგურ მეტეხის დასახლებაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 16 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

38. დავით ადამის ძე ოთიაშვილი, დაბადებული 1955 წელს, მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ აკურაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 26 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

39. გელა გიორგის ძე ოყრომიძე, დაბადებული 1974 წელს, მცხოვრები ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემში და თბილისის რეგიონული სამხედრო სასამართლოს კოლეგიის 1995 წლის 28 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

40. თამაზ რაფიკის ძე პეტანიანი, დაბადებული 1971 წელს, მცხოვრები ქ. ბორჯომში, რობაქიძის შესახვევი № 4 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 18 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

41. გიორგი ალექსანდრეს ძე რუხაია, დაბადებული 1953 წელს, მცხოვრები ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩის II შესახვევი № 3/5 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1994 წლის 22 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

42. სიმონ ომარის ძე სამხარაძე, დაბადებული 1972 წელს, მცხოვრები ქ. ტყიბულში, ჯალაღანიას ქ. № 16/35 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 24 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

43. კონსტანტინე ზურაბის ძე სულამანიძე, დაბადებული 1976 წელს, მცხოვრები ქ. ტყიბულში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 2 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

44. ალი სოიუნ ოღლი სულეიმანოვი, დაბადებული 1956 წელს, მცხოვრები გარდაბნის რაიონის სოფელ ახალშენში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

45. მამუკა ოთარის ძე სულიაშვილი, დაბადებული 1967 წელს, მცხოვრები ქ. ზესტაფონში კვალითის დასახლება № 10/37, ბინა 22 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 31 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

46. ზაურ ალექსანდრეს ძე ქართველიშვილი დაბადებული 1942 წელს, მცხოვრები ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 13 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

47. ვახტანგ თედორეს ძე ქობალია, დაბადებული 1950 წელს, მცხოვრები ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 19 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

48. სააკ ვილენის ძე მირაჩიანი, დაბადებული 1949 წელს, მცხოვრები ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 27 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

49. ვახტანგ გურამის ძე შურღაია, დაბადებული 1959 წელს, მცხოვრები ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩა № 58 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 30 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

50. მიხეილ ნესტორის ძე ჩერქეზია, დაბადებული 1964 წელს, მცხოვრები ქ. სოხუმში, ემბას ქუჩა 169/10 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 21 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

51. ედუარდ სოლომონის ძე ჩიტუაშვილი, დაბადებული 1974 წელს, მცხოვრები გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 22 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

52. ლამა ვასილის ძე ძიმისტარაშვილი, დაბადებული 1972 წელს, მცხოვრები ქ. ფოთში, 18 ბოდრელის ქ. № 47 და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 20 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

53. კუკური აკაკის ძე ჭყოიძე, დაბადებული 1959 წელს, მცხოვრები ხარაგაულის რაიონის სოფელ ქვეშში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 16 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

54. არჩილ მალევას ძე ჯაფარიძე, დაბადებული 1971 წელს, მცხოვრები გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 22 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთით.

**ე. შევარდნაძე.**

## ექსკლუზიური ინტერვიუ

**— ქალბატონო რუსუდან, როგორ, რანაირად მოხდა ამ უჩვეულო გადაწყვეტილების მიღება?**

— საქართველომ დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის გზა აირჩია და ამ გზაზე სიკვდილით დასჯის გაუქმება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება.

თქვენ იცით, რომ საქართველოს პარლამენტმა პირველი წაკითხვით მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსით, ის მუხლები, რომლებიც ადრე სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, უვადო პატიმრობით იცვლება.

ბუნებრივად დაისვა კითხვა იმ 54 სიკვდილით მსჯავრდებულის ბედის შესახებ, რომლებიც დღეს საქართველოში გვყავს. რადგან სიკვდილით დასჯაზე უარს ვამბობთ, ამ პირთა მიმართ ვერ გამოვიყენებთ სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას – სიკვდილით დასჯას. მათთვის უვადო პატიმრობის მისჯა არ შეიძლება, რადგან სამართლის გარდუვალი ნორმაა – არ შეიძლება პირს მიესაჯოს სასჯელი, რომელიც არ არსებობდა, როცა მან დანაშაული ჩაიდინა და რომელიც ამძიმებს მის მდგომარეობას. კანონს უკუქმედობის ძალა არა აქვს.

არსებულ სიტუაციაში ერთადერთი არჩევანი იყო: სიკვდილით დასჯა ან სიკვდილით დასჯის შეცვლა ოცი წლით თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს პრეზიდენტმა, დაეყრდნო რა კონსტიტუციის 73-ე მუხლის ო) პუნქტს, რომელიც მას მსჯავრდებულთა შეწყალების უფლებას აძლევს, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, შეიწყალა 54 სიკვდილით მსჯავრდებული და მათ სიკვდილით დასჯა ოცი წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა.

დღეს საქართველოში არ არის არც ერთი სიკვდილმისჯილი!

**— რამდენი ხანია საქართველოში სიკვდილით დასჯა არ აღსრულებულა?**

— უკვე სამი წელიწადია.

**— მაგრამ ამ სიკვდილმისჯილთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც უსაზიზღრესი, შემაძრწუნებელი დანაშაული აქვთ ჩადენილი. განა ღირს მათი სიცოცხლის შენარჩუნება?**

— დიახ, უმრავლესობას უსაზიზღრესი დანაშაული აქვს ჩადენილი, ეს ბატონმა პრეზიდენტმაც აღნიშნა, მაგრამ, რადგან ავირჩიეთ სიკვდილით დასჯაზე უარის თქმის გზა, უნდა მივყვეთ კიდეც ამ გზას. ბატონი პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ გზაზე.

**— საბოლოოდ, როდისთვის არის გადაწყვეტილი ახალი კოდექსის მიღება?**

— პარლამენტი, ალბათ, შემოდგომაზე მიიღებს სისხლის სამართლის ახალ კოდექსს მეორე და მესამე წაკითხვით. ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, პირებს, რომლებიც ჩაიდენენ სისხლის სამართლის დანაშაულს, დღეს რომ სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, უკვე უვადო პატიმრობა მიესჯებათ.

**— მაგრამ ხომ შეიძლებოდა შემოდგომიდან მივყოლოდით ამ გზას, როცა კანონი ძალაში შევა. იმ პირთა მიმართ კი, რომელთაც უკვე აქვთ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი, სასჯელი აღსრულებულიყო?**

— ჩვენი სახელმწიფოსთვის, რომელიც უარს ამბობს სიკვდილით დასჯაზე, თანაც, როცა პირველი წაკითხვით უკვე აქვს მიღებული სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, წარმოუდგენელი იქნებოდა ამის გაკეთება. ერთბაშად 54 კაცის სიკვდილით დასჯა... თქვენ წარმოგიდგენიათ, რა არის ეს!

**— ქალბატონო რუსუდან, თქვენ პირადად, ქალი, რომელსაც შვილის დაკარგვის სიმწარე განცდილი გაქვთ, ეთანხმებით სიკვდილით დასჯის გაუქმებას მკვლელისა და მოძალადისათვის?**

— მე პირველი ვიყავი წინა პარლამენტში, რომელმაც სიკვდილით დასჯის გაუქმება მოვითხოვე. მე არ ვიცი, როგორ მოკვდა ჩემი შვილი, მაგრამ, რომ ვიცოდე, იგი ვინმემ მოკლა, მკვლელისათვის მაინც შეწყალებას მოვითხოვდი, ამიტომ არ მიჭირს მხარი დავუჭირო ამ კანონს.

მშვენივრად მესმის ოლღა გურამიშვილისა, რომელმაც ილიას მკვლელებისათვის მიტევება ითხოვა.

**— მაგრამ აქ არის მეორე მხარე — დაზარალებული მხარე... ხომ უნდა გავითვალისწინოთ მათი დანაკარგის სიმძიმე და უფლება — სამაგიერო მიეზღოს მკვლელს.**

— პრეზიდენტისათვის ამიტომაც იყო ამ გადაწყვეტილების მიღება ძალზე მძიმე. ის დაზარალებულთა პრეზიდენტიც არის და მსჯავრდებულთა პრეზიდენტიც. ამავე დროს, ის ადამიანია და მისი ადამიანური თანაგრძნობა, ცხადია, დაზარალებულთა მხარეზეა. ბუნებრივია, მას სტკივა შვილმოკლულ დედათა ტკივილი, მაგრამ...

თუმცა, ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი, მაინც ვიტყვი: ღრმად მჯერა, რომ ჩვენს შვილებს იქ, იმ სამყაროდან არ სურთ დედები, რომლებსაც ღმერთმა ავარგუნა ყველაზე დიდი სასჯელი – მათი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე – გაბოროტებულები და შურისძიების გრძნობით აღვსილი გვიხილონ. ჩვენ მათ კეთილები ვუყვარდით.

**— როგორ ფიქრობთ, ამ კეთილშობილური ნაბიჯით დანაშაული შემცირდება?**

— რაც კაცობრიობა არსებობს, დანაშაულიც არსებობს და იარსებებს, სანამ კაცობრიობა იარსებებს. ყოველ შემთხვევაში, ყველა ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმდა, მძიმე დანაშაულის მატება არ ყოფილა. საქმე ის არის, რომ მკვლელობა ძირითადად ხდება გარკვეულ ყოფით ნიადაგზე, აფექტის დროს (ადამიანი მკვლელად არ იბადება) და სიკვდილით დასჯის გაუქმება, ალბათ, რაოდენობაზე არ იმოქმედებს.

# საქართველოში არ არის არც ერთი სიკვდილმისჯილი

უვადო პატიმრობა სიკვდილით დასჯაზე გაცილებით მძიმე სასჯელი მგონია. მე, მაგალითად, ჩემთვის დახვრეტას ავირჩევდი. ამას წინათ წავიკითხე კიდეც, რუსეთში რამდენიმე სამუდამო პატიმრობამისჯილმა ითხოვა, სიკვდილით დამსაჯეთო. ისე რომ, სამუდამო პატიმრობა, თავისთავად საშინელი სასჯელი იქნება მომავალში.

**— მაგრამ, ვართ კი მზად სამუდამო პატიმრობის აღსრულებისათვის? ამას ხომ საპატიმრო ადგილების სპეციალური სისტემა სჭირდება...**

— დიახ, ეს საკმაოდ ძვირადღირებული კანონი იქნება, მაგრამ სახელმწიფომ ეს უნდა გააკეთოს, რაკი ამ გზით წავიდა. უნდა შეიქმნას სპეციალური საპატიმრო და ა. შ. როცა ეს კანონი ძალაში შევა, ალბათ, შესაბამისი დახმარებაც იქნება ევროპის ქვეყნებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოგვიწოდებენ.

**— რამდენადაც ვიცი, ამერიკის ზოგიერთ შტატში კვლავაც მოქმედებს სიკვდილით დასჯა, ევროპის ბევრ ქვეყანაში კი საზოგადოებრიობა დაჟინებით მოითხოვს მის აღდგენას. ისე რომ, ძალიან ხომ არ ვჩქარობთ „დასავლეთთან მიახლოებას“?**

— არა, არ ვჩქარობთ. რაც შეეხება ამერიკას, იქ რამდენიმე შტატში მართლაც მოქმედებს სასჯელის ეს ზომა, ოღონდ აღსრულება უაღრესად იშვიათად ხდება. აქტიურად მოქმედებს მსჯავრდებულთა შეწყალების ინსტიტუტი. ისე რომ, ჩვენი „დასავლური ორიენტაცია“ სწორია. სხვათა შორის, ეს მხოლოდ „დასავლური სწრაფვა“ არ არის, ტრადიციაც გახლავთ. გახსოვთ, ალბათ, თამარის ეპოქაში სიკვდილით არავინ დასჯილა...

და, აი, უკვე დადგა ამის დრო. მაგალითად, 1992 წელს სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ლაპარაკიც კი უაზრობა იყო, იმდენად საშიში გახლდათ სიტუაცია. მაგრამ, როცა ქვეყანაში სტაბილიზაცია მყარდება, ქვეყანა ცივილიზებული განვითარების გზას ადგას, სიკვდილით დასჯის გაუქმება თავისთავად იქცა დროის მოთხოვნად. ამდენად, ეს არ მომხდარა, მაინცდამაინც, საერთაშორისო „შეწოლის“ შედეგად. რაც შეეხება 54 სიკვდილმისჯილის შეწყალებას, ბატონმა პრეზიდენტმა ამით პარლამენტს მიანიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება. ამით მან გულმოწყალების, მიმტევებლობის კარგი მაგალითი მისცა ყველას. და, ამასთან, ეროვნული შერიგებისაკენ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი.

**— ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ, სასჯელის აღსრულების ადგილებში პატიმართა მდგომარეობაზეც, იმაზეც მითხრათ ორიოდ სიტყვა, თუ როგორ იცავენ იქ ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამაზე დღეს ბევრი კრიტიკული ლაპარაკია პრესაში. 24 ივლისს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ქალბატონმა ირინა სარიშვილმა, მაგალითად, მე-5 იზოლატორში მდგომარეობის პირდაპირ კოშმარული სურათი დახატა...**

— აქ მუშაობის მოკლე დროის მანძილზე ბევრი რამ ვნახე. აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ სასჯელთა აღსრულების თითქმის ყველა ადგილში ვიყავი (ჯერჯერობით, სხვა ვერ მოვასწარი). შემიძლია განვაცხადო: ცემა-წამება არსად არ არის. მე-5 იზოლატორს რაც შეეხება: იქ ცუდი საქმეები ნამდვილად ხდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა მდგომარეობა უმჯობესებისაკენ მიდის.

სასამართლოზე მისული ბევრი პატიმარი აცხადებს, მაწამეს და ისე მაღიარებინესო. ხანდახან ეს, ალბათ, ჭეშმარიტებაა, რადგან ასეთი რამ, სამწუხაროდ ხდება, მაგრამ ხშირად — ეჭვს იწვევს. სამართალდამცავი ორგანოს მუშაკმა კანონი ზუსტად უნდა შეასრულოს: პიროვნების დაკავებისთანავე შეატყობინოს ოჯახს, დაუკავშირდეს ადვოკატს და ა. შ. ამის შემდეგ პატიმარს საფუძველი აღარ ექნება, სასამართლოზე თქვას, ჩვენება ძალადობით მიმაცემინესო.

ქვეყანამ აიღო მტკიცე კურსი — აღიკვეთოს პატიმარზე ფიზიკური ზემოქმედება, შესრულდეს ადამიანის უფლებათა ის მოთხოვნები, რომელთა შესრულებაზეც მან პასუხისმგებლობა იკისრა, როგორც სახელმწიფომ. ეს ყველა სამართალდამცავმა უნდა იცოდეს. ეს მათთვისვეა უმჯობესი, რათა დაცული იყოს ასეთი ბრალდებებისაგან.

რაც შეეხება ხმებს. გაზეთში თითოეული ინფორმაცია მკაცრად შემოწმებული უნდა იყოს, არადა, ხშირად ჭორი, მოარული ხმები პრესაში სინამდვილედ საღდება.

**— ერთიც, ქალბატონო რუსუდან! კვლავ ბევრი ლაპარაკია პოლიტიკურ პატიმრებზე. ბოლოს და ბოლოს გვყავს დღეს ჩვენ პოლიტიკური პატიმრები თუ არა?**

— პოლიტიკური პატიმრის ცნება, ჩემთვის პირადად, დაკავშირებულია სერგეი კოვალიოვის, ანდრეი სახაროვის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გიორგი ჭანტურიას სახელებთან. ისინი იყვნენ პოლიტიკური პატიმრები, ჩემი აზრით და გაგებით. პოლიტიკური პატიმრის დეფინიცია საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ისინი მიმაჩნია ადამიანებად, რომლებიც დააპატიმრეს თავისი რწმენის გამო, იმის გამო, რომ ამხელდნენ მაშინდელ ხელისუფლებას, მაგრამ არც ერთ მათგანს არასოდეს არ მოუთხოვია ძალადობით ხელისუფლების დამხობა. კონსტიტუცია გვიკრძალავს ხელისუფლების ძალადობით დამხობას. ამიტომ ადამიანებს, რომლებსაც გარკვეული კრიმინალური ქმედობა აქვთ ჩადენილი, პირადად ჩემთვის, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი არ „უთავსდებათ“. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკური პატიმარი არა გვყავს, მაგრამ გვყავს ადამიანები, რომლებიც სამოქალაქო ომის უბედურებამ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს დააყენა. ეს უდიდესი ტრაგედია იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ამ ტრაგედიის შეფასება სჭირდება. დიდად მისასალმებელია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, ეროვნული შერიგების პროცესი უნდა დავიწყოთო და თვითონ გამოთქვა სურვილი – პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას ამ თვალსაზრისით. ვფიქრობ, დადგა დრო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარმა ადამიანებმა ერთმანეთისკენ, შერიგებისკენ ნაბიჯი გადადგან. პირისპირ დგომამ ბევრი რამ დაგვიშავა. უფრო მეტი რომ არ დაგვიშაოს, შერიგების პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს.

ესაუბრა
**ალეკო ასლანიშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თბილისის უნივერსიტეტი

№177, შაბათი, 26 ივლისი, 1997 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | №5


აბიტურიენტი-97



# 21 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დაიწყო



აბიტურიენტები ამ დღეს დილის 8 საათზე იხმეს ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე.

საგნობრივი კომისიის თავმჯდომარემ დალუქული კონვერტები გახსნა და გამომცდელებმა თითოეულ მათგანს ბილეთები დაურიგეს.

ამ სიახლის გამო რაიმე „შპარგალკაზე“ ფიქრიც კი წარმოუდგენელია და გამოსაცდელებმა დინჯად, ყოველგვარი ფუსფუსის და ჯიბეების ჩხრეკის გარეშე სუფთა ფურცლები პირველი წინადადებებით შეავსეს.

სურათებზე აღბეჭდილია გამოცდის პირველი წუთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეგობრობის მერიდიანი



# მასპინძლობს ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

თბილისის უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სიჩუმეა. სასწავლო სემესტრი და საგამოცდო სესია დამთავრდა. ყურადღება უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისადმია მიპყრობილი, სადაც მისაღები გამოცდები მიმდინარეობს. მაგრამ პირველი კორპუსის სამ აუდიტორიაში უნივერსიტეტის მასწავლებლები, ცნობილი ქართველოლოგები საზაფხულო სკოლის მსმენელებს უკითხავენ ლექციათა კურსს საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიის, მითოლოგიის, მუსიკალური ფოლკლორის, ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა, ქართულ ხელნაწერთმცოდნეობისა და სხვა დარგებში.

რაც მთავარია, ასწავლიან ქართულ ენას.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი კულტურულ-საგანმანათლებლო ერთეული, უნივერსიტეტთან 1992 წლიდან არსებობს.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ XIX საუკუნიდან ამ საქმის პიონერები იყვნენ მარი ბროსე, შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი მარჯორი უორდროპი... ქართველოლოგიური მეცნიერება, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ-ერთი მიმართულება, ჩვენს დროში თავის ადგილს იმკვიდრებს, რასაც ხელის შეწყობა სჭირდება, რისთვისაც მეტად საშურია ქართველ მეცნიერთა მიღწევების პოპულარიზაცია, უცხოელ სწავლულთა დაინტერესება ქართველოლოგიური პრობლემებით. სკოლის ცენტრის დაარსებამდე ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის გახსნას წინ უძღოდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება: 1975 წლიდან იტალიასა და საქართველოში რეგულარულად იმართებოდა ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმები, 1987-1988 წლებში მოეწყო I და II საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, 1990 წელს კი — ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარი უცხოელ ქართველოლოგთა და ქართველოლოგიური თემატიკით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევართა და სტუდენტთათვის. ქართველ მეცნიერთა მიღწევებს თექვსმეტი ქვეყნიდან ჩამოსული ორმოცდათექვსმეტი უცხოელი ეცნობოდა. ამ ღონისძიებამ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა, გამოითქვა თბილისში მუდმივმოქმედი ქართველოლოგიური სკოლის დაარსების სურვილი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლებმა. მათი მონდომებით გამოიცა და მსოფლიოს ძირითად ქართველოლოგიურ ცენტრებს მიეწოდა ორივე ქართველოლოგიური საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები.

და აი, ამ საქმის შემდგომში უკეთ წარმართვის, განვითარება-გაფართოების აუცილებლობამ, უცხოელ ქართველოლოგთა დიდმა სურვილმა შექმნილიყო ქართველოლოგიის მუდმივმოქმედი სკოლა, განაპირობა ჩვენი ცენტრის დაარსება, — ამბობს მისი დამაარსებელი და დირექტორი, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, — იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, ქართველოლოგიის საერთაშორისო დისციპლინად დამკვიდრებას. იგი კოორდინირებასა და დახმარებას უწევს ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტებსა და მეცნიერებს. ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში უცხოელ ქართველოლოგთათვის დაწესდა ორი საერთაშორისო პრემია — მარჯორი უორდროპისა და მარი ბროსეს სახლობისა.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს ქველმოქმედებითა და შეწირულობათა გზით შექმნილი ფონდის საშუალებით. დიდია საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის, პარლამენტთან არსებული ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და თანადგომა.

ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარი მიზნად ისახავს უცხოელი ახალგაზრდების ახალი კადრებით ქართველოლოგთა რიგების შევსებას. ამჯერად სკოლა-სემინარს თორმეტი მოსწავლე ჰყავს. ბერნარდო ხრისტოფი ფრანკფურტის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების განყოფილების ასპირანტია. იგი თავისი მასწავლებლის, ქართული ენის დიდი მცოდნის, ქართველოლოგ და ენათმეცნიერ იოსტ გიპერტის მეშვეობით გაეცნო ქართულ ენას და ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა გადაწყვიტა. უტე რიგერი, რამონ შმიდტი, სიბილა პაინცი, იენც იეგერი კი იენის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან და ერთი წელიწადია, რაც ქართულს სწავლობენ.

იტალიელი, ვენეციელი მარია საუნა ჩვენში კარგად ცნობილი ლუიჯი მაგაროტოს მოწაფეა, იცნობს ვაჟაფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას, „ვეფხისტყაოსანს“, პროფესიით სლავისტია. ამერიკის, კერძოდ კი ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან ჩამოსული თამრა ვისოცკი კი ასპირანტია, ცნობილი ამერიკელი ლინგვისტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ჰოვარდ არონსონის მოწაფე, პროფესიით ლინგვისტია და ფონოლოგიაში მუშაობს. გერმანელი დებორა ვაილდი ამერიკაში, მანჰეინის კოლეჯში სწავლობს და ახლა იწყებს ქართული ენის შესწავლას, ხოლო ოცდარვა წლის შტეფი მახერი იენის უნივერსიტეტში მუშაობს, ლინგვისტია და ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, პროფესორ ჰაინც ფენრიხის შეგირდია. იგი ენების შესწავლითაა დაინტერესებული და ქართული ენა ძლიერ მოსწონს, უკვე მეოთხედ ესწრება სკოლა-სემინარს. დანიელი ასმუს როტნე პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს ორჰუსის უნივერსიტეტში, ასმუსი კავკასიისა და საქართველოს ღრევანდელი ისტორიითაა დაინტერესებული. იაპონელი ჯინჯი ოტო კიოტოს უნივერსიტეტის სტუდენტია, ჯინჯი რუსეთის იმპერიის ისტორიას, მე-18-20 საუკუნეების გლეხთა აჯანყებებს და საქართველოს ისტორიას სწავლობს, მესამე წელიწადია, რაც ქართულს გაეცნო, მაგრამ საქართველოში პირველადაა. ამ უცხოელთა შორის ჩვენი თანამემამულეცაა, დედით გერმანელმა, მამით კი ქართველმა მზია ყაველაშვილმა ბავშვობა საქართველოში გაატარა, ახლა იენის უნივერსიტეტში ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებს სწავლობს, იგი ოცი წლისაა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლითაა დაინტერესებული, სურს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და კავშირი არ გაწყვიტოს სამშობლოსთან.

ლექცია-სემინარების პარალელურად, მომავალი ქართველოლოგები ეცნობიან ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრებს, ქართველ მწერალთა სახლ-მუზეუმებს, ხვდებიან საზოგადო მოღვაწეებსა და ჟურნალისტებს, პროგრამაშია ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მაშ ასე, ქართველოლოგიური ცენტრის სკოლა-სემინარმა მუშაობა დაიწყო და 18 აგვისტომდე გაგრძელდება.

**ლელა შეყილაძე,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის
ახალი ბერძნული ენის
სპეციალობის
მეოთხე კურსის სტუდენტი.



***სურათებზე:** (ზემოთ) იტალიელი მარია საუნა; (ქვემოთ) მარცხნიდან, პირველ რიგში — შტეფი მახერი, დოცენტი ცირა ჩიკვაიძე, ასმუს როტნე, მეორე რიგში — ჯინჯი ოტო, ასისტენტი თამუნა პატარიძე და მზია ყაველაშვილი ქართული ენის გაკვეთილზე.*

# მზრუნველი ხელი კულტურის ძეგლებს

10 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტთა ექსპედიციები გაემგზავრნენ ქართული კულტურის ძეგლების აღდგენით სამუშაოებზე.

ტრადიციულად დამკვიდრებულ და ცხრაწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შარშან აღდგენილ სტუდენტურ თაოსნობას — „ძეგლი-97-ს“ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით სახელმწიფო კანცელარია ხელმძღვანელობს.

უნივერსიტეტის 20-კაციანი ჯგუფი აწყურში გაემგზავრა, სადაც ღვთისმშობლის ეკლესიის სარესტავრაციოდ მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებს.

**სურათზე:** „ძეგლი-97-ის“ მონაწილეთა ერთი ჯგუფი საზეიმო შეკრებაზე თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბასკები... 2000-წლიანი პრობლემა

## გრეტა ჩანტლაძის პორტრეტისათვის

გრეტა ჩანტლაძე ბასკურ-კავკასიური საკითხებით დაინტერესდა მამინ, როცა ენათა გენეალოგიის საკითხებზე სახელოვანი მეცნიერის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ლექციას მოუსმინა. მამინ გაიგო, რომ ბასკოლოგია უძველესი დროიდან ილებს სათავეს, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, ქართველი ლედის შვილი ნიკო მარი იყო ფუძემდებელი ბასკოლოგიური მტუდიებისა სანქტ-პეტერბურგში და რომ მისი მოწაფე გახლდათ აწგანსვენებული ბატონი შოთა ძიძიგური, ასე რომ, იგი ნიკო მარის მოწაფეთა მოწაფედ თვლის თავს, მით უმეტეს, რომ ნიკო მარის აღიარებული მოწაფეა მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი, მსოფლიოში ცნობილი, ყოველმხრივ განსწავლული, ერთობ არაორდინარული პიროვნება, პროფესორი იური ზიცარი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში შოთა ძიძიგურთან და ილია ტაბაღუასთან ერთად მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა საქართველოში ბასკოლოგიური მტუდიების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დიდი გავლენა მოახდინა გრეტა ჩანტლაძის არჩევანზე 1964 წელს გაზეთ „ნედელიაში" გამოქვეყნებულმა ალექსანდრე კიკნაძის ძალზე საინტერესო და სენსაციურმა წერილმა „ბასკები – საიდან არიან ისინი?" სწორედ მან დააკავშირა იმ დროისათვის ქალაქ კუიბიშევში მოღვაწე იური ზიცართან. აქედან დაიწყო ინტენსიური მუშაობა მეტად რთულ პირობებში. მამინ ნიკო მარის შრომებს თავისუფლად ვერ გამოიყენებდით, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი ქართულად. რენე ლაფონისადმი გაგზავნილ ფრანგულად დაწერილ წერილზე მიიღო მეცნიერის მიერ ქართული ენით და მშვენიერი კალიგრაფიით შესრულებული პასუხი. მცირე ხნის მერე ბატონმა რენე ლაფონმა დიდძალი ლიტერატურა გამოგზავნა ბასკოლოგიის საკითხებზე, როგორც ფრანგულად, ასევე ესპანურად. სტაჟირება სორბონის უნივერსიტეტში გაიარა, ესწრებოდა ესპანისტიკაში გამართულ კონგრესებსა და სიმპოზიუმებს.

ქალბატონი გრეტა კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნავს:

– ბასკების ენისა და ეთნოგენეზისის საკითხი ყოველთვის იპყრობდა ფართო ყურადღებას. ისინი საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ ინდოევროპული, კერძოდ, რომანული წარმოშობის ხალხების გვერდით და ამ გარემოცვაში შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, და, რაც მთავარია, მებრძოლი სული, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ. მსოფლიოში ორი იბერიის – კავკასიისა და პირენეის იბერიის არსებობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მეცნიერთა და მოგზაურთა ცნობიერებაში. ოდითგანვე გაჩენილი პრობლემები დღესაც აქტუალურია: ვინ არიან ბასკები? არიან თუ არა ისინი აბორიგენები? სად იყო მათი თავდაპირველი საცხოვრისი? არიან თუ არა პირენეის იბერების ცოცხალი მთამომავალნი? აქვს თუ არა ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას მეცნიერული საფუძველი, თუ იგი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია; ჰყავს თუ არა ამ ჰიპოთეზას მომხრეები, შესაბამისად – მოწინააღმდეგეებიც? ეს და მრავალი სხვა კითხვა იბადება ბასკების ენის, ისტორიისა და კულტურის მიმართ.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე იყო საპოლემიკო ეს საკითხი. იოსებ ფლავიუსის, ბასილი კესარიელის და სხვა ბერძენი და რომაელი ავტორების შრომებში შეხვედებით მსჯელობას ბასკების შესახებ. ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე სტრაბონი, დიონისონი, სოკრატე სქოლასტიკოსი და სხვანი ვარაუდობდნენ ბასკების კავკასიის იბერიიდან ემიგრაციას. სხვანი გვთავაზობენ „მარშრუტს" პირინეიდან კავკასიის იბერიამდე, მესამენი ამტკიცებენ, რომ ბასკები ატლანტიდის მკვიდრნი არიან. ბასკების შესახებ ქართულ-ისტორიული წყაროები გაჩნდა XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის ექსპედიციის შესახებ: „სპანიად, რამეთუ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი არიან მუნ..."

დღეს, სამწუხაროდ, არ არის მოწიფებული დრო იმისათვის, რომ ამომწურავი პასუხი გაეცეს 2000 წლის წინ დასმულ პრობლემას. ჩვენში ბასკოლოგიური მტუდიები ახლახანს ჩაისახა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ყინული დაიძრა ამ საქმეში და ალავერდს მომავალ თაობასთან გადავდივართ.

დღეს ბასკოლოგიის განვითარებას საქართველოში არა აქვს შესაბამისი პირობები, ამის გამო ბასკოლოგები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ბასკურ-კავკასიური პრობლემის მეცნიერულად შესწავლის საქმეში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ... ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბასკეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნათელა სტურუა დღეს წარმატებით მუშაობს ამერიკაში, ახლახან პოლანდიაში დაიბეჭდა მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი ბასკოლოგიის საკითხებზე, პირველი ეთნოგრაფი ბასკოლოგი ასევე ბასკეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სალომე გაბუნია მუშაობს გერმანიაში, რეზო ჭანტურია თავის მეუღლესთან ქართველოლოგ კარინა ვამლინგთან ერთად ცდილობს ბასკურ-ქართული ენების შემსწავლელი ცენტრის შექმნას ქალაქ ლუნდში (შვეციაში), ქეთევან მეგრელი მოღვაწეობს ესპანეთში-ვიტორიაში, ყველაზე დიდი უკმარისობის გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი მასწავლებელი, ბატონი იური ზიცარი, ჩვენში ცნობილი არეულობის გამო დაბრუნდა სანქტ-პეტერბურგში. უნიჭიერესი ბასკოლოგები გია შალამბერიძე, მედეა ღლონტი, თამარ მახარობლიძე, ახლახან გარდაცვლილი დოდო ზედგინიძე, ციცინო ჩახნაშვილი, შადიმან ბიწაძე შეძლებისდაგვარად დიდი სიყვარულით მუშაობენ ჩვენში ბასკოლოგიაში, იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე, იბეჭდებიან საზღვარგარეთულ სოლიდურ ჟურნალებსა და პერიოდულ პრესაში. მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის აკადემიის ნამდვილი წევრი ჯემალ ჯინჯიხაძე ბატონმა იური ზიცარმა და გრეტა ჩანტლაძემ მოიწვიეს ბასკოლოგიის საკითხებზე სამუშაოდ, იგი მუშაობს ბასკურ-ქართველურ რიცხვით სახელებზე, მისი საკანდიდატო დისერტაცია სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა. სამწუხაროდ, დღეს ბატონი ჯემალი სოხუმიდან ლტოლვილი გახლავთ, მან და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ლალიმ შვილებთან – გიორგისთან და ლევანთან ერთად საშინელება გადაიტანეს, მათ ოჯახს, ისევე როგორც მრავალ სხვა ლტოლვილთ, თანადგომა სჭირდებათ.



დღეს ქალბატონი გრეტა ჩანტლაძე ლექციებს უკითხავს ბასკურ ენაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილების V კურსის სტუდენტებს. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროფესორ გურამ ლორთქიფანიძესთან ერთად მიჰყავს სპეცკურსი – „ბასკურ-კავკასიური მტუდიები", ასეთსავე სპეცკურსს კითხულობს სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობს ბატონ ილია ტაბაღუასთან ერთად ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში და ხელმძღვანელობს იქ შექმნილ ბასკურ-ქართულ მტუდიებს ახლახან შექმნილ ქართულ ეროვნულ აკადემიაში ხელმძღვანელობს პირინეის ქვეყნების ენის, ისტორიისა და კულტურის შემსწავლელ განყოფილებას. ბასკ კოლეგასთან, პროფესორ რობერტო სერანისთან ერთად დაასრულა მუშაობა ბასკურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონზე, რომელიც ესპანეთში იბეჭდება. იმედია, წიგნი მალე გამოვა (თუ, რა თქმა უნდა, სპონსორი მოიძებნა!..).

მონოგრაფია „წიგნი – გზამკვლევი ბასკურ-ქართულ სამყაროში", რომელიც ეძღვნება აკადემიკოს შოთა ძიძიგურის ხსოვნას, გამოვა ქართულ, ბასკურ, ესპანურ, ფრანგულ ენებზე. ბატონ იური ზიცართან და რეზო ჭანტურიასთან ერთად მოამზადა ბასკურ-ქართული ვერბალური (ზმნური) ლექსიკონი. ასე რომ, გრეტა ჩანტლაძე ბასკოლოგიას თავდადებით და უშურველად ემსახურება.

**თამარ ნაცვლიშვილი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მე-4 კურსის სტუდენტი.

„ო, ენავ ჩემო"

რუბრიკას უძღვება დოცენტი რამაზ ქურდაძე

# როგორ ვახსენოთ სულიერი მამები?



დღეს, როცა რელიგია, ღვთით, აღარ ითვლება ჩვენში „ხალხის ოპიუმად" (თუმცა თვით ოპიუმი, საუბედუროდ, კვლავაც დიდ პატივშია), ჩვენს ეკლესიას თანდათან ემატება მრევლი (იგივე პროცესი შეინიშნება მეჩეთსა და სინაგოგაში ყოფილი საბჭოეთის მთელს ტერიტორიაზე). ამის კვალობაზე, ბუნებრივია, ხელახლა ვეჩვევით კარგად დავიწყებულ საეკლესიო ტერმინოლოგიასა და მზა ფორმულების სახით არსებულ ბიბლიურ ფრაზეოლოგიას.

მაგრამ „დიდი" ოქტომბრის რევოლუციისაგან ნამემკვიდრებმა განათლება-კულტურის წყვეტილობამ ენის გამოყენების ამ სფეროშიც იჩინა თავი. გავიხსენოთ, რომ ლენინმა, ვიდრე შემზარავი სისასტიკით გაუსწორდებოდა ეკლესიას, ერთიანად ამოძირკვა გიმნაზიები (პირველ ყოვლისა – კლასიკური). ასე მოისპო განათლებისა და კულტურის ეს ორი უმნიშვნელოვანესი კერა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის მსახვრალ გავლენას დაქვემდებარებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ყოველივე ამას არ შეეძლო არ დაეჩნია კვალი ელემენტარული უწიგნურობისა არათუ უბრალოდ უმაღლესი განათლების მქონე პირთა, არამედ – რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს – თვით სიტყვიერების მასწავლებლების, ჟურნალისტებისა და რედაქტორების მეტყველებაზე.

საკითხი ეხება სამღვდელოების – ჩვენი სულიერი მამების მოხსენიებისა თუ წოდება-მიმართვის ფორმულათა დამახინჯების შემთხვევებს, რომლებიც ზოგიერთი ჩვენი ჟურნალისტის „წყალობით" ლამისაა დაგვიკანონდეს ზეპირსა და აქედან – წერით მეტყველებაშიც.

ცნობილია, რომ ნათესაობითი ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვა „მამა" რელიგიური მნიშვნელობით ხმარებისას აღნიშნავს როგორც „ღმერთს", ისე მის ამქვეყნიურ განმასახიერებელს – სამღვდელოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

გარკვეულ სიტყვათშეხამებებში „ღმერთის" აღსანიშნავად გამოყენებული „მამა" ხან მსაზღვრელად გვხვდება (მამა ღმერთი), ხან კი – საზღვრულად (მამაზეციერი). მიმართვისას ეს სიტყვა, ჩვეულებრივი მშობლისაგან განსასხვავებლად, დამკვიდრებულია წოდებითის სპეციფიკური ფორმით – „მამაო", რომელსაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე განსაზღვრავს: „სასულიერო პირისადმი მიმართვის ფორმა". ცნობილ ლოცვაში ამ სიტყვა-ფორმას მოსდევს მასთან ბრუნვაში შეთანხმებული პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მრავლობითში. ასე მივიღეთ „მამაო ჩვენო", რომელიც ამავე ლექსიკონის მიხედვით არის: „ლოცვის დროს ღვთისადმი მიმართვის ფორმა" და, პარალელურად: „სახელწოდება ლოცვისა, რომელიც ამ სიტყვებით იწყება". ყველა შემთხვევაში – როგორც რთულ სიტყვაში, ისე შესიტყვებაში – „მამა" წინამავალი სიტყვაა.

რაც შეეხება ზეციერი მამის მიწიერ წარმომადგენლებთან – სხვადასხვა წოდების სულიერ მამებთან ურთიერთობას, მათ ცალკეც და საკუთარ სახელთან შეხამებაშიც ზემოაღნიშნული სპეციფიკური „მამაო" ფორმით მივმართავთ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს მხატვრული ლიტერატურიდან:

„შემოვიდა მღვდელი... – დაბრძანდი, მამაო! – უბრძანა ერისთავმა და მიუთითა სელზე" (აკაკი); „მამაო! – მიუბრუნდა მოძღვარს, – გთხოვეთ, პარაკლისი გადაგვიხადოთ, სკოლა დაგვილოცოთ!" (ვ. ბარნოვი). „მამაო კირილე, იმედია, შენ თუ შეაგონებ და ჯერით ხელში წინ წაუძღვები, წაგვყვებიან" (აკაკი); „–მამაო იაკობ, – ჰკითხავს ევსევი მასპინძელს (ვ. ბარნოვი).

ეპისტოლარული ლიტერატურიდან: „მოწყალეო ბატონო მამაო ალექსი!" (ილიას წერილიდან ალექსი გულისაშვილისადმი).

მიმართვის სპეციფიკურ ფორმას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მსაზღვრელად გამოყენებული სიტყვა „მამა", რომელიც წინ უსწრებს საზღვრულ საკუთარ სახელს, ისევე იბრუნვის, როგორც ნებისმიერი ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, ე.ი. უბრუნველია. შდრ.: მამა გიორგი – პატარა გიორგი – ყრმა გიორგი, მამა გიორგიმ – პატარა გიორგიმ – ყრმა გიორგიმ, მამა გიორგის – პატარა გიორგის – ყრმა გიორგის... და ასე ბოლომდე: იბრუნვის მხოლოდ საკუთარი სახელი.

არცთუ იშვიათად ზემოხსენებული წესი ირღვევა არა მარტო ზეპირ არამედ წერით მეტყველებაშიც, რის შედეგადაც ვისმენთ და ვკითხულობთ ასეთ ფრაზებს: „ლოცვას აღავლენს მამაო დავითი", „მამაო გიორგიმ ბრძანა", „მოუსმინეთ მამაო არჩილს" და ა.შ.

რა გამოდის? საკუთარი სახელი წესისამებრ იმ ბრუნვაშია, რომელსაც სათანადო ზმნა მოითხოვს, მსაზღვრელი კი სულ სხვა ბრუნვაშია. ეს იგივეა, თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის შემთხვევაში რომ გვეთქვა: „მოუსმინეთ ბატონო არჩილს", „ბატონო გიორგიმ ბრძანა", „ლექციას წაიკითხავს ბატონო დავითი" და ა.შ.

მაგრამ სინამდვილეში ასე არავინ მეტყველებს. მაშ რატომღა ვხმარობთ „უწესოდ" ერთადერთ ხმოვანფუძიან მსაზღვრელს – **მამას?**

ამით ხომ საგანგებო პატივისცემისა და მოწიწების ნაცვლად სწორედ უპატივცემლობას ვიჩენთ ჩვენი სულიერი მამებისადმი?!

რომ შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი, მივიღებთ შემდეგ მარტივ წესს:

ფორმა **მამაო** – ცალკე თუ სხვა სიტყვებთან შეხამებაში – უნდა ვიხმაროთ მხოლოდ მიმართვისას (ცხადია, მხოლოდ სასულიერო პირებისადმი მიმართვისას). სხვა შემთხვევებში მომდევნო საკუთარ სახელთან ხმარებისას მსაზღვრელი **მამა** უბრუნველი დარჩება, საკუთარი სახელი კი იბრუნვის მასთან შეხამებული ზმნის მოთხოვნისამებრ, ასე: მამა ანტონი მობრძანდა, მამა ანტონმა აკურთხა, მამა ანტონს ჰკითხა და ა.შ.

**შუქია აფრიდონიძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი.

## კონტაქტები

# სადაურსა სად ამღერებ...



ისინი ქართული სიმღერის მადლმა შეახვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სააქტო დარბაზში შეკრებილი მაყურებელი ერთი საათის განმავლობაში ტკბებოდა ქართული საგალობლებით, სვანური, კახური, მეგრული, გურული და იმერული სიმღერებით.

კონცერტში მონაწილეობდნენ ამერიკული ტრიო „კავკასია“, კანადური ანსამბლი „დარბაზი“, უნივერსიტეტის ვოკალური ანსამბლი – „მთაწმინდა“.

სტუმრები თავიანთი სახსრებით ჩამოვიდნენ და უცხოელ შემსრულებელთა ფოლკლორული ფესტივალის მომზადებაში მიიღეს მონაწილეობა. ეს ფესტივალი გაისად უნდა გაიმართოს. წელს კი „უცხოელ ქართველებს“ ასეთი პროგრამა ჰქონდათ – გაეფართოებინათ რეპერტუარი, ამ მიზნით ეწვივნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. გამართეს საქველმოქმედო და საჩვენებელი კონცერტები.

იმ დღეს უნივერსიტეტში გუგუნებდა მრავალჟამიერი, ხასანბეგურა, რიპა, სვანური ფერხული... ერთად მღეროდნენ ამერიკელი, კანადელი, ქართველი ახალგაზრდები.



*სურათებზე: ამერიკული ტრიო კარლ ლინიკი, სტიუარტ გელზერი, ალან გასერი; ანსამბლების ნაკრების გამოსვლა.*

## პრობლემა

*„ჯანმრთელობის სამინისტრო გაფრთხილებთ...“ ასეთ სათაურს წერილის წაკითხვის შემდეგ მკითხველი ერთგვარი ირონიით აღიქვამს. ჯანმრთელობის სამინისტრო არაფერსაც არ გვაფრთხილებს. ქვეყნის ტერიტორიაზე აყვავებულია თამბაქოს სრულყოფილი დიზაინით ხორცშესხმული რეკლამა.*

*მაგალითისათვის თბილისიც კმარა. მის საპირისპიროდ სიტყვაც არ იძვრის, სტრიქონიც არ იწერება.*

*ჯანმრთელობის სამინისტრო კი თავისივე დაწყებულ რეფორმაში ჩაძირულა...*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე მოსულ აბიტურიენტებსა და მათ გულშემატკივრებს ცნობათა ბიუროდან საჭირო და ოპერატიულ ინფორმაციას რომ გადასცემენ, საგანგებოდ მიმართავენ: გაფრთხილებთ, უნივერსიტეტში თამბაქოს არ ეწევიან! კორპუსსა და აუდიტორიებში შესულ გამოსაცდელებსაც და გამომცდელებსაც ყველგან ხვდებათ: „ნუ მოსწევთ“.*

*ამ ორი წლის წინათ დაიწყო „სიგარეტის საწინააღმდეგო მოძრაობა“ უნივერსიტეტში. შედეგიც თანდათან გამომჟღავნდა. თუ ადრე ყველგან — აუდიტორიებსა თუ დერეფნებში, რექტორატსა თუ დეკანატებში აბოლებული სიგარეტით ხელდამშვენებულნი ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდნენ, ახლა ყველამ გაითავისა, რომ უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევა არ შეიძლება.*

*დღევანდელ ნომერში მკითხველისათვის შეთავაზებული ეს წერილიც ერთგვარი ცდაა — კიდევ ერთხელ დააფიქროს იგი თამბაქოს მავნეობაზე. საჭიროა ამ მეტასტაზურ სენს უფრო ფართოდ და მასშტაბურად შევეჭიდოთ.*

*ყოველ შემთხვევაში, ამის საგულისხმო მაგალითი გვაქვს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს აღარ ეწევიან.*

# „ჯანმრთელობის სამინისტრო გაფრთხილებთ...“

თამბაქო... მოკლე ცნობები კაცობრიობის ამ ერთ-ერთი უდიდესი მტრის შესახებ: დაიბადა ამერიკაში, ევროპაში შემოვიდა XV საუკუნის ბოლოს, საქართველოში – XVI საუკუნეში.

თამბაქოს მთავარი შხამი არის ნიკოტინი. იგი მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აბრუებს ადამიანს, ამის შედეგად გამომუშავდება ნიკოტინის მოთხოვნილება და ადამიანი ეჩვევა სიგარეტის წევას. ეს არის ნიკოტინიზმი – ნარკომანიისმაგვარი ავადმყოფური მდგომარეობა. ნიკოტინი ავიწროებს სისხლძარღვებს, კერძოდ, გულის გვირგვინოვან არტერიებს და ამით აუარესებს ქსოვილთა მომარაგებას სისხლით, ამავე დროს აძლიერებს გულის მუშაობას. მაგრამ ეს გაძლიერება უმიზნოა და უნაყოფო. ნიკოტინი იწვევს კუჭ-ნაწლავის კუნთების სპაზმურ შეკუმშვას, საჭმლის მომნელებელი მოქმედების მოშლილობას.

თამბაქოს მეორე სახიფათო შხამიანი ნივთიერება არის ფისი, რომელიც წარმოიშობა ანთებული სიგარეტის ბოლისაგან. ეს ფისი აღიზიანებს სასუნთქი გზების და ფილტვების ლორწოვან გარსს, იწვევს მის ქრონიკულ ანთებას, ზოგჯერ კი ავთვისებიან გადაგვარებას. გარდა ზემოხსენებული შხამებისა, თამბაქოს ბოლი კიდევ მრავალ მავნე ნივთიერებას შეიცავს. მათ შორისაა ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი, დარიშხანი, რადიაქტიური ნივთიერებები...

თამბაქოს მწეველებში გახშირებულია ბევრი მძიმე დაავადება: ფილტვების კიბო, ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების სკლეროზი, სტენოკარდია, გულის კუნთის ინფარქტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული გასტრიტი, ქრონიკული კოლიტი, ხორხის კიბო, წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) კიბო, ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროება და განგრენა. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: ფილტვის კიბო სიგარეტის მწეველთა შორის 10-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მათში, ვინც არ ეწევა; ვინც ეწევა, გულის კუნთის ინფარქტით 2-4-ჯერ უფრო ხშირად და უფრო მძიმედ ავადმყოფობს, მწეველი ფეხმძიმე ქალის მშობიარობა გართულებულია, ახალშობილს აკლია წონაში 300-400 გრამი, მათ შორის გახშირებულია თანდაყოლილი სიმახინჯეები, მწეველი მშობლების შვილი ცუდად ვითარდება, ხშირად ავადმყოფობს ფილტვების ანთებით.

სიგარეტის მწეველი საშუალოდ 6-8 წლით ნაკლებს ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც არ ეწევა.

ყველა სახის თამბაქო მავნეა: ჩიბუხიც, სიგარაც, ბურნუთიც, მაგრამ ყველაზე უფრო საშინელია სიგარეტი. ვერც ფილტრი იძლევა ვერავითარ გარანტიას. უმაღლესი ხარისხის სიგარეტის ბოლი ნაკლებად აღიზიანებს ზედა სასუნთქ გზებს, არ იწვევს ხველას, მაგრამ დაუბრკოლებლად ჩადის ფილტვის ქსოვილის სიღრმეში და იქიდან მისი შხამები უფრო თავისუფლად შეიჭრება ორგანიზმში.

რა ღონისძიებას უნდა მივმართოთ, რომ საზოგადოებას ავაცილოთ თამბაქოს სიავე?

– „ჯანმრთელობის სამინისტრო გაფრთხილებთ“... ამ ბანალურ სიტყვებს კარგა ხანია შევეჩვიეთ და უკვე აღარავინ ფიქრობს იმაზე, თუ რა დგას მათ მიღმა. სიგარეტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი, მისი შემადგენელი ნაწილი გახდა. თუკი მოზარდებში მისი პოპულარობა შეგვიძლია ავხსნათ ეგრეთწოდებული „აკრძალული ხილის“ ეფექტით, უფროს თაობაში ეს მხოლოდ ორგანიზმის ნიკოტინის მიმართ მავნე მოთხოვნილების გამომუშავებით თუ აიხსნება. საოცრად ლამაზად, თვალშისაცემად გადაღებული სატელევიზიო სარეკლამო რგოლები მოგვიწოდებენ მოვწიოთ სიგარეტი და წუთით მაინც ვიგრძნოთ თავი მალბოროს თუ კენტის სამყაროში, და ამ საოცრებების შემდეგ ეკრანზე ჩნდება სამამულო წარმოების ფრიად უნიჭოდ მომზადებული, არაეფექტური ანტირეკლამა. როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია.




მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ გაფეტიშებულ ამერიკაში სიგარეტისა და ალკოჰოლიანი სასმელების სარეკლამო კლიპების ჩვენება ტელევიზიით აკრძალულია. დავუკვირდეთ: აკრძალულია არა სიგარეტისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება, არამედ მათი რეკლამირება. შეერთებულ შტატებში მშრალი კანონის გაუქმების შემდეგ, როგორც იტყვიან, „ჭკუა ისწავლეს“ და ამიტომაც აღარ გაიმეორეს ეგრეთწოდებული „აკრძალული ხილის“ პრეცედენტი.

წავიკითხოთ წარწერები ამერიკულ სიგარეტებზე – „მავნებელია ორსული ქალებისათვის“, „გავრცელება ნებადართულია მხოლოდ შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ“ და დასკვნები ჩვენ თვითონვე გამოვიტანოთ.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში არაა პოპულარული ჯანსაღი ცხოვრების წესი. ჩვენი ექიმები მოურიდებლად ეწევიან პაციენტთა თვალწინ, რითაც ჯანმრთელობის ცოცხალ ანტირეკლამას წარმოადგენენ. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ფენებად დაყოფა თავისუფლად შეიძლება იმის მიხედვით, თუ ვინ რა თამბაქოს ეწევა. ყოველივე ამის შემხედვარე ახალგაზრდებზე უკვე აღარ ჭრის უფროსი თაობის სიყალბით გაჟღენთილი, მენტორული ტონი. მათ სურთ, წუთით მაინც მოსწყდნენ რეალობას და იგრძნონ თავი წყნარი ოკეანის ნაპირას, კენტის თეთრი და ცისფერი ფერების სამყაროში, ან ნიაგარის ჩანჩქერთან ქუდით ხელში, ანდა მარლბოროს ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ ჩვენი ბავშვობის გმირები, უშიშარი და თავზეხელაღებული კოვბოები და პრერიებზე დაჰქრიან ველურ მუსტანგთა რემები...

მოსწიე, შეიგრძენი, დატკბი... ჩვენს ყურს საამოდ ჩაესმის ეს სიტყვები. ისინი ხომ ამდენად შორსაა იმ მენტორული ტონისა და ბანალური ფრაზებისაგან, რომელთაც ასე ვართ მიჩვეულნი. ჩვენ ხომ თითქმის არაფერი ვიცით იმის შესახებ, რომ დღეს მთელი ამერიკა ცდილობს დანერგოს ჯანსაღი ცხოვრების წესი. ამერიკა ცდილობს გაექცეს სიკვდილის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ამაზრზენ აჩრდილს – ჩონჩხს კბილებში გაჩრილი სიგარეტით და ახერხებს კიდეც ამას. თამბაქოს წევა არაპრესტიჟული, არამოდური გახდა. ერთგვარი დისკრიმინაციაც კი შეიმჩნევა მწეველებთან დამოკიდებულებაში. იქ უმრავლესობა იბრძვის თავის გადარჩენისათვის, ჯანმრთელობისათვის, სუფთა ჰაერისათვის. უმცირესობას კი ან მის მხარეზე გადასვლა, ანდა თავის უფლებებზე ზრუნვა მოუწევს.

ჩვენთან კი ეწევიან. ეწევიან იმიტომ, რომ არ იციან, როგორ მოკლან დრო, ეწევიან უსაქმურობისაგან, ეწევიან უბრალოდ იმიტომ, რომ ორგანიზმი უკვე ითხოვს თავის წილ შხამს ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს...

ჩვენი ბავშვობის საყვარელი კინოგმირის კრისის შემსრულებელი „შესანიშნავი შვიდეულიდან“ უსაშინლესმა ავადმყოფობამ – ფილტვის კიბომ შეიწირა. სიკვდილის წინ მან შეძლო მოეკრიბა მთელი თავისი სულიერი ძალა და, რათა ეჩვენებინა თამბაქოს დამანგრეველი მოქმედების ჯერ კიდევ ცოცხალი შედეგი, ტელეეკრანით წარუდგა კაცობრიობას. სანახაობა შემაძრწუნებელი იყო. მაგრამ უფრო შემაძრწუნებელი მისი სიტყვები გახლდათ. იგი მოუწოდებდა ადამიანებს ზურგი შეექციათ სიკვდილის სიგარეტჩაჩრილი აჩრდილისათვის და ეცხოვრათ სრულფასოვანი ცხოვრებით. იულ ბრინერს ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ დიდხანს დამტკბარიყო სიცოცხლით – ნიჭი, შესანიშნავი გარეგნობა, ინტელექტი. მაგრამ მან ყველაფერ ამას სიგარეტით დაუსვა ჯვარი. მოძრავი ჩონჩხი, თამბაქოს ცოცხალი ანტირეკლამა ტელეეკრანიდან ადამიანებს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებდა. ამ შემზარავმა სანახაობამ სალათას ძილიდან გამოიყვანა ამერიკა, დაიწყო ბრძოლა სიგარეტის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დღესაც წარმატებით გრძელდება. ნუთუ იმისათვის, რომ საქართველოშიც გამოვუცხადოთ დაუნდობელი ომი თამბაქოს, ჩვენთანაც საჭიროა ანალოგიური შემაძრწუნებელი ტელეგამოსვლა. მანამდე კი ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ფრიად ხელსაყრელი ადგილია უცხოური თამბაქოსმწარმოებელი კომპანიების პროდუქციის გასაღებისათვის. აქ წაგების და მოგების პროცესი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. ჩვენი თანამედროვე ბიზნესმენები, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, საქმოსნები უზარმაზარ მოგებას ნახულობენ ეგრეთწოდებული „თამბაქოს ბიზნესით“, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხოურ თამბაქოსმწარმოებელ კომპანიებზე. მოგებული არიან სამართალდამცავი ორგანოებიც, რომლებიც წარმატებით ნერგავენ თავიანთ საქმიანობაში ეგრეთწოდებული „თვალის დახუჭვის“ პოლიტიკას. გარკვეულწილად მოგებულია სახელმწიფოც, რადგან ამ გზით ბაჟისა და სხვადასხვა გადასახადების სახით შეიძლება ბიუჯეტის დეფიციტის შევსება. მაგრამ ქვეყნის სიძლიერე იმდენად მჭიდრო კავშირშია მოქალაქეების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან, რომ ის მოგება, რომელსაც სიგარეტის ბიზნესი გვაძლევს, არაფერია იმ ზარალთან შედარებით, რომელიც საბოლოო ანგარიშით ადგება სახელმწიფოს.

მოამზადა ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა
**ლელა ხომერიკმა.**

სარედაქციო კოლეგია:
**ნანული ბარათაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ლევან ვეფხვაძე, გივი შეყილაძე (რედაქტორი), თეიმურაზ ხუროძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




● ავსტრალიის მექვანახშირე მუშათა პროფკავშირმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართა სიდნეიში. მეშახტეები გმობენ კომპანიის ცდებს, თავს მოახვიოს მათ კონტრაქტები, რომლებიც იდება არა პროფკავშირულ, არამედ ინდივიდუალურ საფუძველზე.

## პატარა მონაკოს დიდი ფული ნაცისტებმა აშოვნინეს

მონაკო ამენდა იმ ფასეულობათა წყალობით, ნაცისტებმა რომ წაართვეს ებრაელებს და „გაწმინდეს“ სამთავროს ბანკების მეშვეობით, წერს ფრანგული ჟურნალი „ნუველ ობსერვერი“. თავიანთი დასკვნა სტატიის ავტორებმა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც შეისწავლეს ვიშის კოლაბორაციონისტული მთავრობის არქივები. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ მთავარმა ლუი 11-მ, მონაკოს მბრძანებელმა მეორე მსოფლიო ომის დროს, მთელი თავისი ქონება შექმნა ნაცისტთა დახმარებით. რაც შეეხება საქვეყნოდ ცნობილ კაზინოს, მისი ბრუნვა 41-დან 43 წლამდე სამიდან ოთხმოც მილიარდ ფრანკამდე გაიზარდა. ეს ფული ამოიგეს ებრაელებისათვის წართმეული ქონების გაყიდვით. რაც შეეხება სამთავროს ახლანდელ მეთაურს რენე III-ს, იგი საფრანგეთის არმიაში შევიდა და ნაცისტთა წინააღმდეგ იბრძოდა, წერს „ნუველ ობსერვერი“.

## ტოკიო: ქალი იქნება, თუ ვაჟი?

ბრიტანეთის „სანდი ტაიმსი“ დაწვრილებით აღწერს იაპონიის ტახტის მემკვიდრე უფლისწულის ნარუხიტოსა და მისი მეუღლის პრინცესა მასაკოს პირად ცხოვრებას. ოთხი წლის წინათ, როდესაც პრინცი ნარუხიტო და პრინცესა მასაკო დაქორწინდნენ, მთელი იაპონიის პრესა აღფრთოვანებით აღწერდა პრინცესას განსწავლულობასა და ქალურ მომხიბვლელობას. ბევრი ანალიტიკოსი მას მეორე „პრინცესა დიანასაც“ კი უწოდებდა. მაგრამ ოთხი წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ იაპონიის კონსერვატიული საზოგადოება ჩაფიქრდა — ბოლოს და ბოლოს, როდის გაჩნდება მეფის ოჯახში ტახტის მემკვიდრე. პრესაში თანდათან გამოჟონა ცნობებმა მეუღლეებს შორის ვითომდა გულაცრუების შესახებ. მაგრამ როგორც გაზეთი წერს, სინამდვილე საპირისპიროს მოწმობს. პრინცესა დიანასაგან განსხვავებით, პრინცესა მასაკო, როგორც თვითონ ამტკიცებს, ძალზე ბედნიერია და გაყრას არ აპირებს. პრინცესას უშვილობის რეალური მიზეზები ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, გაზეთის ინფორმაციით, იაპონიის სამეფო ოჯახი ახლა ბჭობს მეორე საკითხზე — რა ქნან, თუ ნანატრი მემკვიდრის ნაცვლად გოგო გაჩნდება.

## თუთია—თანდაყოლილი თვინიერების თილისმა

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს კავშირი ადამიანის სასტიკ ქცევასა და მის ორგანიზმში ქიმიურ დისბალანსს შორის, წერს გაზეთი „ტაიმსი“. გაზეთის ინფორმაციით, სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ დიდხანს იყო 3-დან 20 წლამდე ასაკის 135 ურჩი ბავშვი და ყმაწვილი. როგორც აღმოჩნდა, მათ ორგანიზმში ჩვეულებრივი ბავშვებისაგან განსხვავებით, სპილენძის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა თუთიისას. ამის შედეგად მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ადამიანის სასტიკი ყოფა-ქცევა აიხსნება მის ორგანიზმში თუთიის არასაკმარისი რაოდენობით, რომელიც აუცილებელი ტვინის მკვებავი ქიმიური ელემენტია. თავის მხრივ, მეცნიერები თუთიის ნაკლებობას ხსნიან არასწორი დიეტებით. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც დიეტა შეიცავს ალკოჰოლსა და შაქარს.

## კლასიკოსი მკვდარი უნდა იყოს...

ამერიკის მაღაზიებში მყიდველები მიაწყდნენ საქონელს, რომელსაც ჯანი ვერსაჩეს სავაჭრო მარკა ამშვენებს, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“. რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც ვერსაჩე თავისი სახლის პარმაღზე დაიღუპა, მაღაზიებმა გაყიდეს ყველაფერი, რასაც ოდნავ მაინც ჰქონდა კავშირი მოდელიორის სახელთან. არის მხოლოდ გეოგრაფიული განსხვავებანი. მაგალითად, კალიფორნიელ მყიდველებს აინტერესებთ მოდელიორის უკანასკნელი კოლექცია, მაშინ, როდესაც ნიუ-იორკში უფრო მეტად ყიდულობენ ჯინსსა და მამაკაცის ტანსაცმელს. მაგრამ, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, თვით მაღაზიის მფლობელებს მყიდველთა საქციელი ამ ბოლო დღეებში საკმაოდ უცნაურად ეჩვენებათ.



● კრასნოიარსკის მხარის მთელ რიგ რაიონებში შეიზღუდა მოსახლეობის შეშვება ტაიგაში. აქ უკვე აღირიცხა 40-ზე მეტი ტყის ხანძარი.

## ნუთუ, ხუნ სენი მართალი იყო?

ის ამბავი, რომ ხუნ სენი სულ მალე გაერკვა ვითარებაში და წესრიგი დაამყარა კამბოჯაში, აოცებს გამოცდილ ორიენტალისტებსაც, რომლებმაც კამბოჯური ზნე-ჩვეულებანი ყურმოკვრით არ იციან. თვითმხილველნი აღიარებენ, რომ სიტუაცია ნამდვილად უკეთესობისკენ შეიცვალა. სტაბილიზაციის ერთ-ერთი ღონისძიება გახდა საროსკიპოების დახურვა პნომპენში.

ნოროდომ სიანუკმა, რომელიც ახლა აღმოსავლური თერაპიის კურსს გადის პეკინში, თქვა, რომ არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუკი მის ვაჟს რანარიტას პრემიერობიდან გადააყენებენ, ვინაიდან იგი შემჩნეული იყო პოლ-პოტთან ფარულ კავშირში და შეთქმულებას ამზადებდა. მონარქმა შეინდო და აღარ შეაჩვენა ხუნ სენი, რომელსაც იგი კვლავინდებურად უწოდებს „შვილს“. 5 ივლისს პნომპენში შეთქმულთა ნეიტრალიზაციისა და განდევნის მიუხედავად, როდესაც რანარიტას 45 მომხრე დაიღუპა მხოლოდ, თვით რანარიტა პარიზში გაიქცა.

## „მარლბორო“ მარქსის მაგივრად

ბრიტანეთის გაზეთი „ინდეპენდენტი“ სტატიას უძღვნის „ძველ რუსეთსა“ და „ახალ მოსკოვს“. სტატიის ავტორის აზრით, ამ ორ ცნებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს მნიშვნელოვანწილად მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის წყალობით. ჯერ ერთი, წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან

მოსკოვში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. მომხდარი ცვლილებები მეტწილად წმინდა გარეგნულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, კარლ მარქსის პორტრეტები შეცვალეს სარეკლამო დაფებით, რომლებზეც „მარლბოროს ქვეყანაში მომწოდებელი“ კოვბოია გამოსახული, ხოლო საცურაო აუზის „მოსკოვის“ ადგილზე ახლა დგას მაცხოვრის ტაძარი. მეორე, ლუჟკოვის მცდელობით მოსკოვის „გაევროპულობას“ სტატიის ავტორი აიგივებს პეტრე პირველის პოლიტიკასთან. როგორც ცნობილია, პეტრე ხალხს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა როგორც დიდი რეფორმატორი, რომელმაც „სარკმელი გაჭრა“ ევროპაში. შემთხვევითი როდია, რომ ლუჟკოვის კაბინეტში, რომელიც მთლიანად არაფრით არ განსხვავდება ყოფილი პარტიული მუშაკებისაგან, პეტრე დიდის პორტრეტი ჰკიდია. გარდა ამისა, შუა მოსკოვში პეტრეს ძეგლის აღმართვის იდეა სწორედ დედაქალაქის მერს ეკუთვნის. მაგრამ, სტატიის ავტორის აზრით, კომუნისტურ იდეებზე უარის თქმისა და საზოგადოების „გაევროპულების“ მისწრაფების მიუხედავად, ყოველივე, რაც ახლა ხდება მოსკოვში, არ შეიძლება განაკუთვნო არც კომუნიზმს და არც კაპიტალიზმს; არ შეიძლება უწოდო არც ევროპული და არც აზიური უფრო სწორად, ეს არის სპეციფიკურად რუსული მოვლენა, წერს დასასრულს „ინდეპენდენტი“.



● ჰამბურგის გემთსამშენებლო კომპანიის საკრუიზო ლაინერი „ჰანსიტიკი“, რომელსაც ნორვეგიიდან ისლანდიაში მიჰყავდა 145 მგზავრი, მეჩეჩზე შეჯდა.



● ოტომ ჯექსონი, ქალი, რომელიც ცდილობდა საესტრადო მსახიობის ბილ კოსბისათვის გამოეძალა 40 მილიონი დოლარი, ნიუ-იორკის ფედერალური სასამართლოს წინაშე წარსდგა. ჯექსონი იმუქრებოდა, რომ ბულვარულ პრესას შეატყობინებდა, ვითომდა იგი კოსბის უკანონო შვილია. ოტომ ჯექსონი (მარჯვნივ) დედამისთან ერთად სასამართლო დარბაზში შედის.

## „მაკდონალდსი“: ყოველ ოჯახში სადილის ნაცვლად — ჰამბურგერები!

1997 წელს კომპანია „მაკდონალდსი“ გახსნის 2400 ახალ რესტორანს, მათგან 80 პროცენტს — ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ, იუწყება „სი-ენ-ენი“. კომპანიის გეგმები წინა კვირის დამლევს გამოცხადდა. საზღვარგარეთის ბაზარი კომპანიის ხელმძღვანელობას პრიორიტეტულად მიაჩნია — მეორე კვარტალში „მაკდონალდსის“ საზღვარგარეთის რესტორნების შემოსავალმა 4 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე „მაკდონალდსმა“ აშშ ფარგლებს გარეთ გახსნა 5800 რესტორანი. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის შიგნით კომპანიას საქმეები მაინც და მაინც კარგად ვერ მიუდის. მუშტარი გადადის კონკურენტებთან — „უენდის“ და „ბურგერ კინგის“ ფირმებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა ახლა ეძებს გზებს, რათა იპოვოს კრიზისიდან გამოსავალი, და გადაწყვიტა, განეხორციელებინა მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა—ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

### ვულოცავთ!

## ბარაქალა, ბიჭებო!

**პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების საფეხბურთო ტურნირის ფინალში საქართველოს ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი) ლიტველ თანატოლებს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა.**

**ქვეჯგუფში ჩვენმა ბიჭებმა მასპინძელთა და აზერბაიჯანის გუნდები დაამარცხეს.**

### ფეხბურთი

## არგენტინა — უფეხბურთოდ

პირველად მრავალი წლის მანძილზე არგენტინა უფეხბურთოდ დარჩა. ქვეყნის თითქმის ორი ათასმა პროფესიონალმა ფეხბურთელმა გაფიცვა გამოაცხადა მანამდე, სანამ არ გადაწყდება კონფლიქტი მათი პროფკავშირის ექვს წევრსა და „დეპორტივო ესპანიოლის“ კლუბს შორის. გამონაკლისი არიან „რასინგის“ გუნდის ფეხბურთელები, რომლებსაც პროფკავშირებმა ნება დართო გამართონ საერთაშორისო მატჩი პერუს ერთ-ერთ კლუბთან „ლიბერტადორესის“ თასისათვის ბრძოლაში.

საპროტესტო გაფიცვის მოწყობის გადაწყვეტილება მიიღეს სამშაბათს გამართული უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების კაპიტნების თათბირის შედეგების მიხედვით. კონფლიქტის მიზეზი ის არის, რომ „დეპორტივო ესპანიოლის“ კლუბის ხელმძღვანელობამ უარი თქვა „თავისუფლად გაეშვათ“ ექვსი მოთამაშე, რომლებსაც კონტრაქტის ვადა გაუვიდათ. ფეხბურთელთა პროფკავშირმა დახმარება სთხოვა არგენტინის ფეხბურთის ასოციაციას და მან ექვსივე ფეხბურთელი „სრულიად გათავისუფლებულად“ გამოაცხადა. მაგრამ შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია იძულებული გახდა უკან დაეხია, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება გამოიტანა — „ფეხბურთელები კვლავინდებურად ეკუთვნიან „დეპორტივო ესპანიოლის“ კლუბს.

(იტარ-ტასს-საქინფორმი).

### ბარბაროსობა

## წაბილწეს ნიკოლოზ ოზეროვის საფლავი

ეს ერთი კვირაა მოსკოვი შეძრა ქალაქის სასაფლაოებზე მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა.

ჯერ იყო და ვაგანკოვის სასაფლაოზე უცნობმა პირებმა ააფეთქეს რომანოვების სახლის მემორიალური დაფა, რომელზეც ეწერა: „ღმერთო ბოლშევიკების მიერ ნაწამებთა და დახოცილთა ხსოვნისათვის“.

უფრო ადრე მოსკოვის ოლქის დაბა ტაინსკოეში ნიკოლოზ მეორის ძეგლი ააფეთქეს, ხოლო უკვე დანაღმული პეტრე პირველის ძეგლი, რომლის ავტორია ჩვენი თანამემამულე ზურაბ წერეთელი, სასწაულად გადაურჩა აფეთქებას.

და აი, კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ცნობა მოვიდა მოსკოვიდან — ორშაბათ ღამეს ვედენის სასაფლაოზე შებილწეს სულ ახლახან გარდაცვლილი სახელგანთქმული სპორტული კომენტატორის ნიკოლოზ ოზეროვის საფლავი. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ცეცხლი წაუკიდეს გვირგვინებს, საფლავი ლითონის კარკასამდე დაიწვა, ხოლო ძეგლზე ფოტოსურათი დასკდა!

### ყოველი მხრიდან

## ორთვლიანი პოლიტიკა

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი რუდოლფ შარპინგი უსაზღვროდაა შეყვარებული ველოსპორტზე. წლევანდელი შვებულება მან პირენეებზე გაატარა, თავისი ორთვლიანი „მეგობრით“ დაიპყრო ტურმალეს (2114 მეტრი) და ობისკის უღელტეხილები. ახლა კი ტრადიციული და ძალზე პოპულარული „ტურ დე ფრანსის“ ბოლოსათვის პარიზში გასამგზავრებლად ემზადება, რათა პირადად მიულოცოს გამარჯვება თანამემამულეს იან ულრიხს.

### ტურნირის ექო



## ვალერი ცილენტი თბილისური გაკვეთილებით კმაყოფილია

ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლემ გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სხვადასხვა სინჯის მედლებისთვის 7 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის იყვნენ ტიტულოვანი ფალავნებიც. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ბელორუსი **ვალერი ცილენტი.**

იგი 1969 წელს არის დაბადებული. ცხოვრობს გროდნოში, ჰყავს მეუღლე და ერთი თვის გოგონა ელადა.

ცილენტი ოთხჯერ იყო ბელორუსიის ჩემპიონი, 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, შარშან ატლანტაში კი „ბრინჯაოსათვის“ ბრძოლა მოუგო ყაზახეთის წარმომადგენელს — საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონსა და სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს დუალეტ ტურლიხანოვს.

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე 85 კილოგრამ წონითი კატეგორიის ფინალში ვალერი ცილენტი საქართველოდან ისრაელში ასულ გოჩა ციციაშვილს შეხვდა. დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2, ასპარეზობის ჩემპიონი გახდა ციციაშვილი, რადგან მას ნაკლები გაფრთხილება აღმოაჩნდა.

— გოჩა ციციაშვილი შესანიშნავი მოჭიდავე და დიდებული ადამიანია. — გვითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ცილენტიმ — დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ. ხშირად ვყოფილვართ ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე. შარშან ისრაელის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ბელორუსიაში ჩამოვიდა და მინსკის მახლობლად სპორტკომპლექსს „სტაიკიში“ თითქმის ორი თვე ვემზადებოდით ატლანტის ოლიმპიადისთვის.

მე და გოჩა არა მარტო მეგობრები, არამედ მეტოქეებიც ვართ. ოფიციალურ შეჯიბრებებში დღეის ჩათვლით ხუთჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს. პირველი ორთაბრძოლა გოჩამ მომიგო 1990 წელს. შემდეგ ზედიზედ სამჯერ დავამარცხე — 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შვედეთში და საერთაშორისო ტურნირებზე უნგრეთსა და ისრაელში. დღეს კი, როგორც ნახეთ, გოჩამ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გვაქვს. ვინ იცის, ორიოდ თვეში შეიძლება კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს პოლონეთში მსოფლიო ჩემპიონატზე.

***— ციციაშვილის გარდა, ქართველი სპორტსმენებიდან ვის იცნობთ ახლოს?***

— კარგი ურთიერთობა მაქვს ტარიელ შავაძესთან, აკაკი ჩაჩუასთან, თეიმურაზ ყაზარაშვილთან, კობა გულიაშვილთან. ატლანტაში თავგამოდებით ექომაგებოდით კობას. ოდნავ იღბალი რომ ჰქონოდა, ოლიმპიადიდან უმედლოდ არ დაბრუნდებოდა. იგი ახლაც შესანიშნავ ფორმაშია და მსოფლიო ჩემპიონატზე, ალბათ, მედლისთვის იბრძოლებს.

საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ჭიდაობის ჩინებული სკოლა. ახლაც ასეა. თქვენი ფალავნები ნებისმიერ შეჯიბრებაზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ.

ხშირად მსმენია, ქართველები გულთბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში.

***— პირველად [illegible] საქართველოში?***

— 1988 წელს [illegible] ვიმყოფებოდი საწვრთნელ შეკრებაზე. ერთ დღეს ბიჭებთან ერთად გაგრაში ჩავედი ცოტა ხნით. თბილისში პირველად ვარ. რაც კი დღემდე ქალაქები მინახავს, იმათგან გამორჩეულია ორიგინალური არქიტექტურითა და ადგილმდებარეობით, ხალხი კი მართლაც საოცარია — გულთბილი და ყურადღებიანი... [illegible] რომ რამე ჰკითხო, ყურადღებით მოგისმენს, აგიხსნის, თუ საჭიროა, [illegible] სატამდეც მიგყვება. [illegible] ბიჭები ბაზარში [illegible] ხილის საყიდლად. [illegible] იგეს, სტუმრები [illegible], ყველაფერზე ფასი [illegible] კლეს. ალბათ, ყოველივე ეს მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა დიდი მოჭიდავის — გივი კარტოზიას სახელობის ტურნირის ორგანიზატორებს. ყველაფერი ჩინებულია. თბილისის საჭიდაო ხალიჩაზე მიღებული გაკვეთილები თითოეულ ჩვენგანს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაში წაადგება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**
ალექსანდრე პოტოჩაშვილის („ლელო“) ფოტო.

### ჭადრაკი



## ვიქტორ კორჩნოი: „ვითამაშებ, სანამ ცოცხალი ვარ...“

ამას წინათ სანქტ-პეტერბურგში მყოფმა გამოჩენილმა დიდოსტატმა ვიქტორ კორჩნოიმ პრესკონფერენცია გამართა. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო შეკითხვას კორჩნოის პასუხებითურთ:

***— თვლით თუ არა კასპაროვს მსოფლიოში უძლიერეს მოჭადრაკედ?***

— რა თქმა უნდა, მას ბადალი არა ჰყავს, სხვებს აშკარად აღემატება. ეს მას მშვენივრად ესმის და ამიტომაც თქვა: „მე მსოფლიო ჩემპიონი კი არა ვარ რაიმე ვერსიით, არამედ მსოფლიო ჩემპიონი გახლავართ“. კასპაროვის მთავარი უპირატესობა სხვებთან შედარებით ის არის, რომ იგი თანაბრად ძლიერია საჭადრაკო პარტიის ყველა სტადიაში. ზოგს საჭადრაკო თეორიის ცოდნით აღემატება, ზოგს — ჭადრაკის გაგებით. თუ ყველა კომპონენტს შევაჯამებთ, კასპაროვს მეტოქე არა ჰყავს, და, შეიძლება, არც საუკუნის ბოლომდე ჰყავდეს. მართალია, ახლა საფრანგეთში გამოჩნდა 14 წლის დიდოსტატი ეტიენ ბაკრო, რომელსაც დიდებული საბრძოლო თვისებები აქვს. მისი მწვრთნელის, დიდოსტატ იოსებ დორფმანის აზრით, სწორედ ბაკრო შეცვლის კასპაროვს საჭადრაკო ტახტზე.

***— თქვენ რატომღა შეწყვიტეთ მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლა?***

— 1981 წელს მერანოში მატჩის წინ ვნახე, რომ ანატოლი კარპოვის დელეგაციაში 40-ზე მეტი კაცი შედიოდა, საელჩოს თანამშრომლებსაც თუ დავუმატებდით, დაახლოებით 70-ს აღწევდა. მივხვდი, რომ ასეთ არმადას ვერ ვძლევდი. თუ მანამდე ბაიოში კარპოვს მხოლოდ ერთი პარაფსიქოლოგი ჰყავდა — ზუხარი, ღმერთმა იცის, რამდენი იყვნენ ისინი იტალიაში. ყოველ შემთხვევაში, მერანოში ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს და დავრწმუნდი, რომ კარპოვს ასეთ სიტუაციაში ვერ დავამარცხებდი. ამიტომაც გადავწყვიტე, შემეწყვიტა ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის.

***— რას იტყვით კასპაროვისა და კარპოვის „გამაერთიანებელი მატჩის“ პერსპექტივაზე?***

— ერთი რამ ნათელია: იგი ფიდეს ეგიდით არ ჩატარდება. ამის შესახებ ორივე დიდოსტატმა გააკეთა განცხადება. ერთ საკითხშიც საერთო აზრი აქვთ: ფედერაციის ფონდში პროცენტების გადარიცხვას არ აპირებენ. შეიძლება სწორედ კასპაროვ-კარპოვის მატჩმა უბიძგოს დანარჩენ წამყვან დიდოსტატებს მონაწილეობა მიიღონ ილუმეინოვის „ნოკაუტ-სისტემით“ მოწყობილ მსოფლიო ჩემპიონატში.

***— როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფიდეს ახლანდელ პრეზიდენტთან?***

—მას ასეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სათანადო გამოცდილება არა აქვს. ავტორიტეტული მრჩევლები რომ ჰყავდეს, უფრო ლოგიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებდა. უბრალო მაგალითს გეტყვით: მან მსოფლიო პირველობის გათამაშება იმ დროს დანიშნა, როცა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი ტარდება.

***— ითამაშებდით მატჩს ფიშერთან?***

— არავითარ შემთხვევაში! მე მას პატივს აღარ ვცემ: როგორც მოჭადრაკეს — მას შემდეგ, რაც სპასკისთან იუგოსლავიაში მატჩი ითამაშა, ხოლო როგორც ადამიანს — მისი გამონათქვამების გამო.

***— ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, რას გააკეთებდით?***

— ცხოვრებას ციმბირის ერთ მიყრუებულ სოფელში დავასრულებდი, ბავშვებს ისტორიას ვასწავლიდი, მე ხომ ლენინგრადის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი დავამთავრე. თუმცა, სადაც უნდა მემუშავა, ჩემი ერთობ დამოუკიდებელი ხასიათის გამო, ბოლოს მაინც კონფლიქტი მომივიდოდა მამინდელ საბჭოთა ხელისუფლებასთან. სამწუხაროდ, მაშინ მთელ [illegible] რთულ ამბებზე წარმოდგენა არ მქონდა, ზოგიერთ წვრილმანსაც არ ვაქცევდი ყურადღებას. მაგალითად, არ მაინტერესებდა ეროვნული კუთვნილების საკითხი. მახსოვს, 40-იანი წლების ბოლოს პასპორტი უნდა მიმეღო. წავედი სახლმმართველობაში. მკითხეს, რა ეროვნებისა ხარო. ვიფიქრე: დედაც ებრაელი მყავს და დედინაცვალიც, რომელმაც გამზარდა. მამას შერეული სისხლი ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ებრაელი ვარ-მეთქი. ასეც ჩამწერეს. შინ რომ მივედი, ყველაფერი ვთქვი. ჩემმა ასპროცენტიანმა ებრაელმა დედინაცვალმა ერთი ამბავი დამაწია, სახლმმართველთან წავიდა და რუსი ჩააწერინა... ოცი წლის შემდეგ ისტორია განმეორდა: ჩემი ვაჟი სკოლაში უნდა მიეღოთ, დირექტორმა მისი ეროვნება იკითხა. ვიფიქრე: დედა ასპროცენტიანი სომეხი ჰყავს, მე კი შერეული სისხლი მაქვს — მეთქი, ავდექი და სომხად ჩავაწერინე. ეს რომ [illegible] იგო ჩემი ასპროცენტიანი სომეხი ცოლი, სკოლის დირექტორთან წავიდა და შეილი [illegible] სად ჩააწერინა...

***— კიდევ რამდენ [illegible] ითამაშებთ ჭადრაკს?***

— მე არაერთგზის [illegible] სხვადასხვა ექსტრასენსთან, [illegible] თმანეთს რომ არ იცნობდნენ, მათ მითხრეს, რომ 82 წლამდე ვიცოცხლებ და საწოლში არ [illegible] ვკვდები. ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლეს ჭადრაკის დაფასთან დავასრულებ-მეთქი, ვიფიქრე, ამიტომაც გადავწყვიტე, ვითამაშო, სანამ ცოცხალი ვარ.

მოამზადა
**გივი თორაძე.**

ინფორმაცია

# რუსი კაზაკები საქართველოს ერთგულების ფიცს დებენ



როგორც ვიუწყებოდით, თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის კაზაკთა ჯარების ატამანი ნიკოლოზ კოზიცინი.

საქართველოს კაზაკთა კავშირის ატამანმა ვასილ კადენელმა, რუსეთის კაზაკთა ჯარების ატამანმა ნიკოლოზ კოზიკინმა, თბილისის კაზაკთა კავშირის ატამანმა პეტრე ნეტკაჩეევმა და სხვებმა ჩაატარეს გაფართოებული სხდომა და განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხებოდა შიდა ეროვნული კონფლიქტების მოწესრიგებას კავკასიაში. მათი საქმიანი შეკრების ძირითადი მიზანი იყო ღონისძიებათა შემუშავება საომარი მოქმედების შესაწყვეტად, მშვიდობის დასამყარებლად ამ რეგიონში. კაზაკთა ხელმძღვანელებმა შეადგინეს სპეციალური ჯგუფი, რომელთა წევრები მშვიდობიანი გზით, აფხაზეთის პრობლემების ლიკვიდაციასა და სრულ აღმოფხვრაზე იმუშავებენ.

ამასთანავე, ატამანი ნიკოლოზ კოზიცინი შეხვდა ადგილობრივ კაზაკთა საზოგადოებას. ამ შეხვედრისას თბილისის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა მამა მიხეილმა საქართველოს კაზაკთა კავშირის დროშა აკურთხა, ხოლო თბილისის კაზაკთა კავშირის ატამანმა პეტრე ნეტკაჩეევმა დადო საქართველოს ერთგულებისა და უანგარო სამსახურის ფიცი.

ლელა დონაძე.

იუბილე

# კვლავ ქუთაისში

სიმართლე გითხრათ, ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ქუთაისი. ამ დიდებულ და მშვენიერ ქალაქთან ბევრი რამ მაკავშირებს, მშობლები, ბავშვობა, სკოლა, ნათესავები, მეგობრები და კოლეგები. ამიტომაა, რომ ამ ქალაქში რა უნდა მოხდეს ისეთი ღირსშესანიშნავი, რომ მე იქ არ გავჩნდე, ჩემიანებს არ გადაევეხვიო და არ მივულოცო. უნდა გამოგიტყდეთ, ვითარება ხელს რომ მიწყობდეს, ცხოვრების ბოლო წლებს ჩემს ქუთაისში გავატარებდი.

სწორედ ამ დღეებში ჩემმა ქუთაისმა ზეიმით აღნიშნა შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, ქართული კინოს პატრიარქის, მსოფლიოში აღიარებული კინორეჟისორის და საზოგადო მოღვაწის რეზო ჩხეიძის 70 წლის აღსანიშნავი იუბილე. დიდი ხელოვანი გულში ჩაიკრა მისმა მშობლიურმა სკოლამ, წმინდა ნინოს სახელობის მე-3 გიმნაზიამ, სადაც ჩემმა რეზომ სწავლის პირველი წლები გაატარა. იუბილარს ქალაქის ღირსეული ინტელიგენცია, მთელი ქალაქი ულოცავდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

პირველ დღეს, 23 მაისს, საიუბილეო ღონისძიება დაიწყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში. საიუბილეო საღამო გახსნა და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გიმნაზიის დირექტორი ბატონი რომან ცინცაძე, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა რეზო ჩხეიძის ცხოვრების დიდი გზა, აღნიშნა მისი შემოქმედების დიდი მნიშვნელობა მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარებაში და მას საჩუქრად გადასცა ძვირფასი სახსოვარი — ღვთისმშობლის ხატი.

რეზო ჩხეიძეს საიუბილეო თარიღი გულითადად მიულოცეს ცნობილმა მწერლებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა, მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა — ლევან სანიკიძემ, რეზო ჭეიშვილმა, რეზო ესაძემ, ნანა მჭედლიძემ, ჯანრი კაშიამ, გიზო კაკაურიძემ, ნესტან კვეიძემ.

იუბილარს მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილი.

რეზო ჩხეიძე სცენაზე აიყვანეს, მან გაიხსენა სკოლაში სწავლის წლები, მეგობრები, საყვარელი მასწავლებლები (ნიკო მესაბიშვილი, ნიკიფორე ჩოგოვაძე, პლატონ წულუკიძე, თამარ დახუნდარიძე, მასურია (ბაბო) ხუნდაძე-ჭუმბურიძისა) და სხვა შესანიშნავი პედაგოგები და თანაკლასელები.

მეორე დღეს სტუმარი მიიღო ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა.

„... მე მოხარული ვარ, რომ ჩვენი დროის უგამორჩეულეს პიროვნებას ბატონ რეზო ჩხეიძეს მასპინძლობს ჩვენი ქალაქი. სასიხარულოა, რომ ქუთაისში ბატონი რეზო ჩხეიძის იუბილით იწყება საიუბილეო ღონისძიებები. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, რომ ქუთაისის მე-3 გიმნაზიას, სადაც ბატონი რეზო სწავლობდა, ნოემბრის თვეში 150 წელი უსრულდება...". აქვე ჩვენი საზოგადოების კულტურის, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად გაიმართა გულწრფელი საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც ისევე, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ამ კუთხეშიც არსებობს საგანმანათლებლო, კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროში.

განსაკუთრებით ამაღელვებელი, სევდიანი და შთამბეჭდავი იყო საიუბილეო ღონისძიების ის ნაწილი, როდესაც ჩვენ იმ ტრაგიკულ ადგილს მივაშურეთ, რომელიც საღორიას ტყეშია და სადაც ოცდაათიან წლებში რეპრესირებულ ადამიანებს ხვრეტდნენ. აქ, მემორიალურ ძეგლზე ჩვენი მამების გვარებია ამოკვეთილი. ამ რამდენიმე წლის წინათ, ცნობილი მწერლის, კინოდრამატურგის, საზოგადო მოღვაწის რეზო ჭეიშვილის დახმარებით აქ მიაკვლიეს იმ ადგილს, სადაც ჩვენი მამები და ბევრი სხვა უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. სწორედ მაშინ ჩემი რეზო სათავეში ჩაუდგა მემორიალის დაფუძნების საქმეს. ორი წლის წინათ სწორედ ამ მემორიალის გახსნაც მოხდა და სათანადოდაც აღინიშნა ეს მოვლენა.



ამ წმინდა ადგილიდან კვლავ მე-3 გიმნაზიაში აღმოვჩნდით, კვლავ ახალგაზრდობასთან თბილი, სიყვარულით სავსე შეხვედრა, ლამაზი ლიტერატურული კომპოზიცია, მისალმებები. ჩვენს დელეგაციას სკოლაში დავეიანებით შემოუერთდა ღირსეული მამულიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ამერიკაში მცხოვრები, დიდებული ქართველი ბატონი გივი ზალდასტანიშვილი. იგი გულითადად მიესალმა რეზოს, მიულოცა მას ეს იუბილე უცხოეთში მცხოვრებ ქართველებისა და განსაკუთრებით გენერალ ჯონ შალიკაშვილის სახელით კეთილი სურვილები და დიდხანს ჯანმრთელი სიცოცხლე უსურვა მას.

ასე დასრულდა ეს შესანიშნავი, დაუვიწყარი დღეები ქუთაისში, რეზო ჩხეიძის მშობლიურ ქალაქში. დღეგრძელობა ჩვენს რეზოს, კეთილშობილ და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილს.

**ირაკლი ჟუმბურიძე,**
საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი.

*სურათზე: საღორიის ტყეში დაღუპულთა მემორიალზე.*

განცხადება

სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის" აქციონერთა საყურადღებოდ

ამა წლის 27 აგვისტოს 11.00 საათზე მოწვეულია სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის" აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. № 2, ს/ს „ტრანსმშენის" შენობა.

ტელ. 36-10-54; 99-37-00; 99-37-04.

დღის წესრიგი:

1. 1996 წლის შედეგების განხილვა და ანგარიშის დამტკიცება.
2. 1996 წლის მოგებიდან დივიდენდის განსაზღვრა.

ს/ს „ტრანსმშენი" სთხოვს საზოგადოების წევრებს ან მათ წარმომადგენლებს, დაესწრონ კრებას.

სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი".

ხსოვნა

## გრიგოლ ჩაგელიშვილი



გარდაიცვალა შრომისა და ომის ვეტერანი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, საქართველოს ტურიზმის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი გრიგოლ ბესარიონის ძე ჩაგელიშვილი.

დაიბადა 1914 წელს ონის რაიონის სოფელ ჭიორაში. იგი ჭაბუკობიდანვე შეუდგა შრომით საქმიანობას. სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა ონის რაიონში, აფხაზეთში. 1961 წლიდან საცხოვრებლად გადადის ქალაქ თბილისში და ინიშნება ტურისტული ბაზის დირექტორად, მისი ხელმძღვანელობით აშენდა ტურისტული ბაზა „ვაკე". პარალელურად დაამთავრა უცხოეთის ტურიზმის მომსახურებისა და განვითარების სკოლა. 1966 წელს დაინიშნა შოვის ტურბაზის დირექტორად, სადაც იმუშავა პენსიაში გასვლამდე (1988 წელი). მისი ხელმძღვანელობითა და დიდი გარჯით შოვში აშენდა 120-ადგილიანი ტურისტული ბაზის კორპუსი, მთლიანად განახლებულ იქნა შოვის ტურბაზა. მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში შოვის ტურბაზა საჯაროდ აღიარეს საუკეთესოდ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტურისტულ ბაზებს შორის.

სადაც კი უმუშავნია, ყველგან დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა. ადამიანის ავტორიტეტსა და კაცის პატიოსნებას უფრთხილდებოდა, ყოველთვის დადებითს ეძებდა მასში. ამასთან ერთად გახლდათ დახვეწილი, რაფინირებული ინტელიგენტი, დიდბუნებოვანი კაცური კაცი. ცხოვრებისეულ სიძნელეებს არასოდეს შეუშინებია, პირიქით, ყოველთვის იმედიანი და თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული, კაცური პასუხისმგებლობით უძლევებოდა ყველა საქმეს.

ულალატო მეგობარი და ამხანაგი, საინტერესო მოსაუბრე — აი როგორი დარჩა იგი ჩვენში და ჩვენც გვემახსოვრება სიკეთით, კაცობით, თავმოყვარეობით, გულისხმიერებით, მთაში გაზრდილი კაცის სიამაყით გამორჩეული და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, პატრიოტი კაცი.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული და სახელი!

ონის რაიონის გამგეობა, შოვის ტურბაზის კოლექტივი.

თარიღი

დღესასწაული ცაგერში თავდაპირველად ახალგაზრდულ-სპორტული ღონისძიებებით დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდა. თითქოს ძველი და ახალი ერთმანეთს შეერკინა და ერთიანი ძალით ახალი ცხოვრებისაკენ აიღო გეზი.

ხალხი ერთად ზეიმობდა პოეტის იუბილეს, ცაგერის სახალხო თეატრის დაარსებიდან 90 წლისთავს და ახლებური მცირე ბიზნესისა და ფერმერული მეურნეობის შექმნას, რომელიც მთელი ამ რეგიონის განვითარების ცხოვრებისეული პერსპექტივაა. სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ საქმიანი ადამიანები ცაგერში და უამრავ სტუმარსაც უმასპინძლეს.

პირველად ცაგერის სახალხო თეატრის იუბილე აღინიშნა. ამას მოჰყვა სახალხო დღესასწაული „ლადოობა".



# ლეჩხუმში, ცხენისწყლის პირას...

## სიცოცხლე გრძელდება

90 წელია, რაც ლეჩხუმში თეატრალური კოლექტივი არსებობს. ცაგერის რაიონის მცხოვრებნი მადლიერებით იხსენებენ სცენისმოყვარეების ვახტანგ მახარობლიძის, ვასილ გოლეთიანის და ვალიკო გუგავას მიერ ცხრაასიან წლებში შექმნილ დასს, რომელმაც საფუძველი მოამზადა ჯერ საკოლმეურნეო, ხოლო შემდეგ სახალხო თეატრის შექმნისათვის. პირველი სპექტაკლი, რომელიც 1903 წელს ბერების ყოფილ სახლში გაიმართა, ვალერიან გუნიას „და-ძმა" იყო.

ცაგერის პირველ თეატრალურ კოლექტივში ავქსენტი ცაგარლის კომედიაში „ხანუმა" კოტე ფანტიაშვილის როლის შესრულებით მიიღო სცენური ნათლობა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, იოსებ სტალინის როლის უბადლო შემსრულებელმა მიხეილ გელოვანმა. აქ გაიფურჩქნა გოგუცა კუპრაშვილის უზადო ტალანტიც.

კულტურის სახლის დირექტორის დარეჯან სალინაძისა და რეჟისორ ზაზა ყურაშვილის ძალისხმევით, 90-იანი წლებში არა მარტო შეინარჩუნეს დასი, მრავალი შესანიშნავი დადგმითაც გაახარეს მაყურებელი.

ცაგერის სახალხო თეატრმა არა ერთხელ მოიპოვა საკავშირო და რესპუბლიკური დათვალიერების ლაურეატის წოდება.

თეატრის იუბილე ლადო ასათიანის დაბადების დღეს დაემთხვა. ცაგერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე კარლო კვირკაშვილი მიესალმა მსახიობებს და საჩუქარი გადასცა თეატრს.

სცენაზეა თეატრის სამი თაობა, რომლებიც იგონებენ განვლილ თეატრალურ ცხოვრებას და არც გარდაცვლილი მსახიობები ავიწყდებათ.

მშვენიერებასთან შეხვედრის მოულოდნელი წამები ჩნდება... დროდადრო უჩვენებენ ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან...

ცაგერის თეატრის სახელოვან დასს მიესალმნენ მწერალი რეზო ჭეიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი გოგი გეგეჭკორი, საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი და სხვები.

საღამო „მრავალჟამიერით" დამთავრდა.

## „რა კარგი იყო ბარდნალა"...

... ის ბედნიერი დღე კი ლადო ასათიანის დაბადების დღე იყო, როცა ლეჩხუმის ერთ ლამაზ სოფელში მისი აკვანი დაირწა...

ლეჩხუმმა, ბარდნალამ და ნამკაშურის წისქვილებმა, მურის კლდეკარმა და აქაური გლეხკაცის განუმეორებელმა ხასიათმა და დიდებულმა ბუნებამ მისცა საფუძველი ლადო ასათიანის მარადუკვდავ პოეზიას. სწორედ აქედან გაითვითცნობიერა პოეტმა საყვარელი სამშობლოს ტკივილი და სიხარული, მისი წარსული და მომავალი.

საიუბილეო ზეიმმა ბარდნალაში, პოეტის სახლ-მუზეუმში გადაინაცვლა, რომელიც ასე უყვარდა პოეტს და რომელსაც არა ერთი და ორი ლექსი უძღვნა.

— დიდი პოეტის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული უკვე გამოვეცით, ხოლო ახლა მთელი ენერგიით ვიბრძვით იმისათვის, რათა საიუბილეოდ დავდგათ ლადო ასათიანის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც გოგი მხეიძეიშვილმა შექმნა, — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი: — დღევანდელი ჩვენი შეკრება პრელუდიაა ლადო ასათიანის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნისა, საიუბილეო დღეებისა. თვით პოეტი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა მაღალ შეფასებას მისცემდა მის პოეზიას შთამომავლობა, მშობლიური ერი. თუმცა ჭაბუკმა პოეტმა კარგად იცოდა თავისი შესაძლებლობა, მაგრამ იგი არაფერს მოითხოვდა, მას სურდა „დაღლილიყო საქართველოს სიყვარულში", აღელვებდა ათასგვარი კითხვა. დღეს ლადოს ყოველი მეორე ლექსი სიმღერადაა ქცეული.

მისი პოეზია სიყვარულის, ამაღლებული სულის, სიცოცხლის, პატრიოტული გრძნობის, სილამაზის დაუსრულებელი სიმღერაა.

მიხარია, რომ მობრუნდა ქვეყანა, მობრუნდა სიცოცხლე. ბოროტება კვდება, სიკეთე იმარჯვებს... ლადოს ლექსებმა ხალხი შემართა საქართველოს თავისუფლებისათვის. მე ვენაცვალე მის სახელს, მის პოეზიას!..

მედიკო და მანანა ასათიანები: — ჩემთვის ძნელია მამაზე ლაპარაკი, რადგან პატარა დავრჩი. მიხარია ის, რომ ტრადიცია აღსდგა, ისევ არსებობს „ცაგერობა" ანუ იგივე „ლადოობა", — ამბობს პოეტის ასული მანანა ასათიანი. — გვინდა მთელს საქართველოს მივულოცოთ ეს დღე და იმ სულისკვეთებით გვეცხოვროს ყველას, რა სულისკვეთებითაც ცხოვრობდა ლადო ასათიანი, — ეს მისი დის მედიკოს სიტყვებია.

ჯანსუღ მანდარია, საზოგადოება „ლეჩხუმის" ვიცე-პრეზიდენტი: — სახალხო დღესასწაულის დღეებს დაუკავშირდა მედიკოსთა უდიდესი ჯგუფის ჩამოსვლა შარშან და წელს ლეჩხუმში, — ათასზე მეტი კაცი გასინჯეს.

წლეულს, როგორც საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს დამევალა, ვუხელმძღვანელო სამედიცინო აქციას, ხოლო კომისიას ხელმძღვანელობენ მსოფლიოში განთქმული დასტაქრები ლევან ჩარკვიანი და კოტე მადიჩი. ჯგუფში არიან ექიმები მამუკა გოლეთიანი, მერაბ ხვადაგიანი, გია ხვადაგიანი, ნინელი ფუტკარაძე, ნინო ჩხეიძიანი. ამ საქმის მოთავენი ბრძანდებიან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხეცურიანი.

გაკეთდა ოცდარვა სახის, მათ შორის ექვსი უმძიმესი ოპერაცია. სწორედ ლადო ასათიანის დაბადების დღეს, მძიმე ოპერაციის შედეგად ნონა ბერიძეს შეეძინა ვაჟი. აქციაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ექიმები: მურმან თოთაძე, მირანდა სილაგაძე, ალუდა ზურაბიანი და ნათელა ხეცურიანი.

პოეტის იუბილე დაამშვენა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ თავისი ჩინებული გამოსვლით. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა, მწერალმა რეზო ჭეიშვილმა, მწერალთა კავშირის მდივანმა დავით მჭედლურმა, პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ, პოეტმა და მთარგმნელმა გივი ნიჟარაძემ, მწერალმა ზაალ ბოტკოველმა. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გოგი გეგეჭკორმა, რაჭა-ლეჩხუმის, ლენტეხისა და ამბროლაურის ხელოვნების დარგის მუშაკებმა. ლადოს ლექსები ახალგაზრდების შესრულებით გახმიანდა.

და მართლაც, რა კარგი იყო ბარდნალა... დიდი პოეტის სამშობლო!

**იზა ჯაჭვაძე.**

ხსოვნა

## ოთარ კალანდაძე



გარდაიცვალა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მე-4 მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალის ლაურეატი ოთარ ლეონტის ძე კალანდაძე. იგი 1943 წლიდან ჩარიცხულ იქნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მსახიობად, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, ბალეტის მსახიობად, საქართველოს სახელმწიფო ორკესტრში ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით. 1948 წლიდან კი ჩარიცხულ იქნა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთარ კალანდაძე იმ მსახიობთა რიგებს ეკუთვნოდა, რომლებმაც ასახელეს საქართველო და ქართული ხელოვნება გაიტანეს საზღვარგარეთ. ანსამბლის შემდეგ მუშაობას განაგრძობდა მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლში განყოფილების გამგედ და ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელად.

ოთარ კალანდაძე დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრებს შორის. მისი ნათელი ხსოვნა მარადიულად დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი, ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი.

## თამაზ კალმახელიძე



ჩვენო თამაზ!

ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, როცა იმდენი რამის თქმა გინდა, რომ ველარაფერს ამბობ. ან რა ვთქვათ, ვის რა შევჩივლოთ, შენ იყავი ჩვენი ჭირის და ლხინის გამზიარებელი, ყველას მესაიდუმლე და გულშემატკივარი; აგერ უკვე თხუთმეტი წელი გავიდა, ერთი შეკრება არ ყოფილა უშენოდ, ჩვენო განუმეორებელო თამადავ, ყველას ოჯახის წევრო, ჩვენო სიკეთით, იმედით სავსე მეგობარო, ძალიან ძნელია ჩვენთვის დავიჯეროთ, რომ აღარა ხარ, რომ არასოდეს შემოგვხედავ შენი განუმეორებელი, ნათელი, ღიმილიანი თვალებით, არადა, სწორედ აქ, ამ ცოდვილ ქვეყანაში იყავი საჭირო გაჭირვებულთა და მეგობართა შემწედ, სანუგეშოდ.

ვაი, რომ ერთხელ დაგჭირდა ჩვენი დახმარება და არც ერთი ჩვენგანი არ აღმოვჩნდით შენს გვერდით — ვერ დაგეხმარეთ.

გვაპატიე თამაზ, დიდსულოვნად გვაპატიე, როგორც ეს ცხოვრებაში იცოდი.

ერთი დღე არ იქნება, ალბათ, ჩვენს ცხოვრებაში სინანულით არ გახსენოთ, არ მოვეფეროთ შენს ნათელ ხსოვნას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ერთგულო მეგობარო.

საბურთალოს რაიონის გამგეობა.

## ჯუდერ (ჯუდუ) ბიჭიკაშვილი



პოლიციის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი დამსახურებული მუშაკი, პოლიციის პოლკოვნიკი ჯუდერ (ჯუდუ) ბაზრატის ძე ბიჭიკაშვილის სახით, რომელიც უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

დაიბადა 1940 წელს ქ. ხაშურში. 1969 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, ხოლო 1970 წლიდან მუშაობა დაიწყო შს ორგანოებში. მან პოლიციის რიგებში 27 წელი იმსახურა, რთული გზა განვლო ქ. რუსთავის შს საქალაქო განყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსობიდან ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსობამდე.

წლების განმავლობაში ჯ. ბიჭიკაშვილი მუშაობდა ქ. რუსთავის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის, პროფილაქტიკის ქვეგანყოფილების უფროსად, განყოფილების უფროსის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ქ. რუსთავის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და სხვა.

1996 წლის სექტემბრიდან იგი ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსია.

ჯ. ბიჭიკაშვილი გამოირჩეოდა, როგორც წესიერი, მართალი, პროფესიონალი თანამშრომელი, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მხილებული იქნა ბანდიტური ჯგუფები და ათობით დამნაშავე, რისთვისაც ხელმძღვანელობის მიერ 35-ჯერ იქნა წახალისებული.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა თანამშრომელთა აღზრდის, მათი ზნეობრივად ჩამოყალიბებისა და დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ჩვევების გამომუშავების საქმეში. მისი აღზრდილი მრავალი თანამშრომელი დღეს წარმატებით მუშაობს პოლიციის სხვადასხვა სტრუქტურაში.

ჯ. ბიჭიკაშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო პოლიციის ორგანოების თანამშრომელთა, არამედ მეგობრებსა და ახლობლებს შორის, რამეთუ ობიექტურობის, სიმართლისა და სამშობლოს მოყვარულს, კაცობისათვის არასოდეს უღალატია.

ჯ. ბიჭიკაშვილის გარდაცვალებით ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან ერთად, დიდი მწუხარება განიცადა ქვემო ქართლის მხარის პოლიციის ორგანოს ყველა თანამშრომელმა. მას ჯერ კიდევ რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ვაი, რომ აღარ დასცალდა.

ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველო.

გახსენება

## სანდერსი რურუა



ჩვენო საყვარელო მამიკო და ძვირფასო ძმაო სანდერსი, უკვე 15 წელი გავიდა იმ ავად სახსენებელი დღიდან, რაც შენი ვაჟკაცური, სუფთა ადამიანური, უზომოდ მოსიყვარულე თვალები და მომღიმარი სახე არ გვინახია. შენ, შენი ახალგაზრდობა მძიმე შრომაში და გარჯაში გაატარე. შენ არ იცოდი დასვენება და ყოველთვის შრომით იყავი დაკავებული. შენი სამხედრო სამსახურის დროს რუსეთის მორეულ ნაწილში, ძლივს რომ მოგაკვლიეთ, გაოცებულმა გვითხარი: „აქ რამ მოგიყვანათო" და ჩვენი დანახვით უსაზღვრო სიხარულს ვერ მალავდი.

შენ იყავი განსაკუთრებული ნიჭის იშვიათი პიროვნება, თავდადებული ოჯახის, მეგობრებისა და სამსახურისათვის. შენი ასაკის მიუხედავად არ გაკლდა ხელისუფლების უმაღლესი ჯილდოები და კეთილი დამოკიდებულება. გულწრფელად უყვარდი კოლექტივსა და მეგობრებს. არ იცოდი ღალატი და სიტყვის კაცი იყავი.

უზომოდ გიყვარდა შვილები, ოჯახი. თუმცა, ამამიც ვერ გაგიმართლდა ისე, როგორც ამას შენი კაცურ-კაცობა და ზედმიწევნით სუფთა ადამიანური თვისებები იმსახურებდა. სამაგიეროდ აგისრულდა ნანატრი ოცნება — შვილები შენი კაცური გენებით გაკაფულ გზას გაჰყვნენ და თავიანთი ინტელექტითა და პატიოსანი შრომით მამის უკვდავებას მიაგებენ პატივს.

საყვარელო მამიკო და ძვირფასო ძმიკო სანდერსი, შენ ხომ შენი შვილებისა და ოჯახის ღირსებისათვის ბრძოლაში დაიფერფლე. შენ უზომოდ თავმოყვარე კაცი იყავი ცხოვრებაში და ამისათვის შენი ჯანმრთელობის ხარჯზე შეუძლებელსაც კი აკეთებდი.

შენს ძვირფას ოჯახში ლევიკო თავკაცობს და წარმატებით ასრულებს მამისეულ ფუნქციებს, უკვე დააქორწინა თავისი დაიკო ლელა, თვითონაც შექმნა საუკეთესო ოჯახი.

საყვარელო მამა, შენი მომღიმარი სახე მუდამ თვალწინ გვიდგას და იგი ყოველთვის მამისეულ იმედსა და ენერგიას გვაძლევს.

ღმერთო, ბუნებასაც არ ჰქონია სამართალი, რადგანაც ძალიან ნაადრევად, სამუდამოდ დაგვაცილა ერთმანეთს. მამიკო, მუდამ ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

შვილები ლევანი, ლელა, რძალი ელა, დები თინათინი, ნანა, ძმა ალბერტი, მეუღლე დოდო რურუები, შვილიშვილი ლაშა, სიძე სოსო ქრისტესაშვილები, სიძე ლერი, დისშვილი ნინო ოქრუაშვილები, ძმისშვილები ლალი, ლიანა რურუები, დისშვილები მამუკა, მერაბი, მაკა ყურაშვილები.

გივი ნადარეიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ომარ პატარიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები იზოლდა, მადლენა, ნანა მელქაძეები, შვილიშვილები მამუკა, კახაბერ, ზვიად მკერვალიშვილები, შვილთაშვილები ირაკლი, ქეთევანი, ნიკა მკერვალიშვილები, რძლები ეკა კიკნაველიძე, ი. კლდიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლუბა პორფილეს ასული თევდორაძე
პანაშვიდი 25, 26 VII, 4 ს. გამოსვენება 27 VII, 3 ს. ურიცკის მესახვ. სახლი № 10.

ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური აკადემიური ბალეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ანსამბლის ყოფილი წევრი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
ოთარ ლეონტის ძე კალანდაძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამაზ შალვას ძე კალმახელიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამაზ შალვას ძე კალმახელიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ნათესავებს.

მეუღლე დარეჯანი (ტატა), მამა ალექსანდრე, შვილები დოდო, ნინო მანჯგალაძეები, დეიდები, ბიძები, ბიცოლა, დეიდაშვილები, სიდედრი სულიკო, სიმამრი შოთა გუგავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვლადიმერ (ლადო) ალექსანდრეს ძე მანჯგალაძე
პანაშვიდი 27, 28 VII, 4 ს. გამოსვენება 29 VII, 2 ს. ორბელიანის ქ. № 26.

**ECONOMIC SPECIALIST**
The U.S.Embassy has an opening for an Economic Specialist.
**Desired Qualifications:**
**Experience:** Two years of experience engaged in economic research, or related field.
**Education:** Possession of a collegiate degree (B.S.) in Economics, Marketing, Business Administration, or related field.
**Knowledge:** A good knowledge of the local economy, economic structure, and institutions; basic knowledge of international economic theories, and international trade.
**Skills and abilities:** Good analytical and writing skills. Ability to develop, organize, and analyze statistical data, determine trends, and present such data in precise and accurate form.
**Language:** Fluency in English, Georgian, and Russian is required.
**Duties:** The incumbent provides information gathering, research, factual economic reporting, and related services of moderate scope and difficulty in the field of economic reporting.
**Applications:** Those interested in applying should submit application form (available from the Embassy's front guard booth) by 18:00 August 1, 1997 to Personnel, U.S. Embassy, 25 Atoneli Street, Tbilisi.
**Note:** Only qualified applicants will be interviewed.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს
განცხადება

1997 წლის 2 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული იყო განცხადება სამინისტროს სამოქალაქო თავდაცვის მართვის სოფელ წეროვნის სათადარიგო პუნქტის რემონტისა და აღდგენითი სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო ორგანიზაციის შესარჩევი ტენდერის ჩატარების შესახებ.

1997 წლის 9 ივლისს შეჯამდა ტენდერის შედეგები და გამარჯვებულად გამოცხადდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თბილისის სამშენებლო-სარემონტო სახაზინო საწარმო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.